2015 წელი, 18 - 24 ივნისი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი გაზეთლოგი

№23 (697) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტი, კავკასიის ბიზნესის სკოლა

აცხადებს კონკურსს

პროფესორის (15 ვაკანტური ადგილი) ასოცირებული პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტ პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების დისციპლინებში:

პრეკალკულუსი; კალკულუსი; წრფივი ალგებრა; მიკროეკონომიკის საფუძვლები; მაკროეკონომიკის საფუძვლები; ორგანიზაციული ქცევა; მართვის უნარები და ლიდერობა; ლოგისტიკა; სტრატეგიული მართვა; ფინანსური აღრიცხვა; მენეჯერული აღრიცხვა; ბიზნეს კომუნიკაცია; სტატისტიკის შესავალი კურსი; კორპორაციული ფინანსები; საბანკო საქმე; გაყიდვების მენეჯმენტი; ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია; მომხმარებლის ქცევა; პროექტების მართვა და სხვ.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება;

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2- წლიანი გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:
I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge
გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!
საბუთების მიღება წარმოებს 2015 წლის 20 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

ინფორმაცია

სკოლა, რომელიც სტიქიის შედეგად განადგურდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე მდინარე ვერეს ხეობაში მდებარე „მომავლის სკოლაში“ მივიდა, პირადად გაეცნო სტიქიის შედეგად შექმნილ ვითარებას და პირველ რიგში მოსაგვარებელი პრობლემები მოისმინა. მათ შორისაა მოსწავლეთა საატესტატო გამოცდები. მინისტრის გადაწყვეტილებით, „მომავლის სკოლის“ მე-11 კლასელები პრეტესტს და საატესტატო გამოცდებს თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში ჩააბარებენ.

რაც შეეხება სკოლას, მისი ინფრასტრუქტურასრულიად განადგურებულია. თამარ სანიკიძე სკოლის ხელმძღვანელობას ალტერნატიული შენობის გამონახვაში დახმარებას დაჰპირდა. მინისტრის განცხადებით, აუცილებელია სკოლამ ახალი სასწავლო წლიდან მცირედი დანახარჯით სწავლის პროცესის განახლება შეძლოს.

„მომავლის სკოლა“ თბილისში 1992 წელს დაარსდა, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, ერლ და ჯენეტ თრითების მიერ, რომლებიც დღემდე კურირებენ სკოლას. მსგავსი სკოლები მსოფლიოს 145 ქვეყანაში ფუნქციონირებს, მათ შორის ამერიკაში, ინგლისში, ავსტრიაში, ესპანეთში, რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში და ა.შ. სასწავლო პროცესი ინგლისურ და ქართულენოვან სექტორებად იყოფა. თბილისის „მომავლის სკოლა“ კურსდამთავრებულებს 1999 წლიდან ითვლის. ისინი წარმატებით განაგრძობენ სწავლასა და მუშაობას როგორც საქართველოში, ასევე ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა სასწავლებლებში. ამჟამად სკოლაში 300-მდე მოსწავლე სწავლობს, მათ შორის უცხოენოვანი მოსწავლეებიც არიან.

თამარ სანიკიძე: *„სკოლის ტერიტორიის დასუფთავებაში მოხალისეები არიან ჩართული, დღეს მათ ჩვენც შევუერთდით და ვეხმარებით, შეძლებისდაგვარად. ვცდილობთ, დატბორილი და დანგრეული შენობიდან გამოვიტანოთ ის, რაც გადარჩა. მაგრამ ისეთი მდგომარეობაა, რომ ბევრი რამ განადგურებულია. ახლა მთავარია, ბავშვებს შევუწყოთ ხელი და ეს უკვე გაკეთებულია – ისინი გადანაწილებული არიან საგამოცდო ცენტრებში და პრობლემა არ შეექმნებათ. შემდეგ უკვე ახალ აკადემიურ წელზე უნდა ვიფიქროთ, როგორ გადანაწილდნენ კლასები სხვა სკოლებში. ამავდროულად, შტაბში, რომელიც საგანგებოდ მუშაობს და განიხილავს სტიქიის მიერ მიყენებულ ზარალს, ინფრასტრუქტურის საკითხსაც დავაყენებთ და ვეცდებით, სკოლას ალტერნატიული შენობები შევთავაზოთ იმისათვის, რომ ახალი აკადემიური წელი მინიმალური დანახარჯებით დაიწყონ.“*



ნუცა ქორელი, „მომავლის სკოლის“ დირექტორის მოადგილე: *„დაახლოებით, 300-მდე მოსწავლე გვყავს არა მარტო ქართველი, უცხოელიც. ჩვენს სკოლაში სწავლება ამერიკული სკოლის პროგრამით მიმდინარეობს, გაგვინადგურდა წიგნები, რომლებიც ამერიკიდანაა გამოგზავნილი და აქ არ იყიდება. სტიქიამ სერიოზული ზარალი მოგვაყენა, დაახლოებით, მილიონზე მეტი, ზუსტად ვერ გეტყვით. განადგურებულია შენობა, კომპიუტერული ტექნიკა, მთელი სასკოლო ინვენტარი, ეზო და ა.შ. განათლების მინისტრმა დახმარება აღგვიქვა, ასევე მერიიდანაც შეგვპირდნენ დახმარებას. მინისტრმა გვითხრა, რომ უკვე ფიქრობენ, რომელი შენობა შეიძლება გამოგვიყონ და იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი მოგვარდება.“*

კახა ცეცხლაძე, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე: *„პირველ რიგში, ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს. რაც შეეხება ზარალს, მასშტაბურია და ხედავთ, რომ განადგურებულია მთელი ინფრასრუქტურა. მერია და შესაბამისი სამსახურები, ასევე ცენტრალური ხელისუფლება, დღე-ღამის განმავლობაში, მუშაობს იმისათვის, რომ ყველაფერი მოწესრიგდეს, აღდგეს ქალაქში ჩვეული რიტმი და მოსახლეობაც ჩვეული ცხოვრების წესს დაუბრუნდეს. ყველაფერი გაკეთდება უახლოეს პერიოდში, რათა მთლიანად გაიწმინდოს მეწყრისგან მოტანილი ნარჩენები, გასუფთავდეს ტერიტორია. სამწუხაროდ, ის დანაკლისი, რომელიც თბილისმა განიცადა, დაღუპულთა სახით, აუნაზღაურებელია, ხოლო რაც შეეხება სკოლას, აქ იმაზე უკეთესად გაკეთდება ყველაფერი, ვიდრე იყო. ვცდილობთ, ეს დროულად და მოკლე პერიოდში მოხერხდეს.“*

სკოლამდელი აღზრდა

თანამედროვე მიდგომები ადრეულ განათლებაში

12 ივნისს, რევაზ სირაძის სახელობის რუსთაველის კლუბის ინიციატივით, ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ბაგა-ბაღების დირექტორები, აღმზრდელები და პედაგოგები შეიკრიბნენ. რაიონის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ (თავმჯდომარე – **თამარ ბარისაშვილი**), რომელიც არაერთი აქტუალური საკითხის განხილვის ინიციატორია, ამჟამად სასაუბრო თემად აირჩია „თანამედროვე მიდგომები ადრეულ განათლებაში“. როგორც საქართველოს განათლების პროფკავშირის თავმჯდომარემ, **მაია კობახიძემ**, აღნიშნა, საჯარო სკოლებისგან განსხვავებით, ბაღები სახელმწიფოს ზრუნვის მიღმა დარჩა და არც საზოგადოება იჩენს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისადმი ინტერესს. ქვეყანაში სამართლიანი სოციალური გარემოს შესაქმნელად კი უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბება სახელმწიფოსთვის გადაუდებელი ამოცანაა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა ნაბიჯები საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების კუთხით, რაც უზრუნველყოფს როგორც აღსაზრდელის, ისე სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკებისა და ბაგა-ბაღის აღმზრდელების უფლებების უკეთ დაცვას და სწავლების ხარისხის ამაღლებას. ამ მიზნის მისაღწევად კი კოლეგების გამოცდილების ურთიერთგაზიარება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამჯერად გთავაზობთ თბილისის №6 ბაგა-ბაღის დირექტორის, **თამარ ბაქრაძისა** და მეთოდისტ **ნინო ჯიჯავაძის** პრეზენტაციას „რეჯიო ემილიას ბაღი“. აქვე აღვნიშნავთ, რომ მომხსენებელთა მიერ შეთავაზებული მიდგომა დარბაზმა არაერთგვაროვნად მიიღო – იყვნენ მომხრეები და მოწინააღმდეგეები, თავ-თავიანთი არგუმენტებით, დისკუსია საინტერესო გამოდგა. ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი გაცნობა უფრო ფართო აუდიტორიისათვის.

რეჯიო ემილიას ბაღი

მეთოდოლოგია

ჩვენი ბაღის მეთოდოლოგია აგებულია (Emergent curriculum) წინასწარ დაუგეგმავ კურიკულუმზე, რომელიც თანდათან ყალიბდება სააღმზრდელო პროცესში. სასწავლო თემები და პროექტები გამომდინარეობს ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებებიდან. მათთვის საინტერესო პროექტზე მუშაობის დროს, ბავშვები აწარმოებენ სიღრმისეულ კვლევას რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში, საბოლოო შედეგად მათ შეიძლება დაამზადონ რაკეტა, დააპროექტონ სათამაშო მოედანი, გააკეთონ წიგნი. ბავშვები არიან დაგეგმვისა და განხორციელების უშუალო მონაწილეები.

რეჯიოს ბაღში ბავშვებს ხელს ვუწყობთ გამოხატონ თავიანთი აზრები, გრძნობები არა მხოლოდ მეტყველების, არამედ ხელოვნების სხვადასხვა დარგების საშუალებით, ამისათვის მათთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის მასალა, რომელსაც თავისუფლად იყენებენ. ყოველი თემა თუ პროექტი მოიცავს მეტყველების, შემეცნებით, შემოქმედებით და ფიზიკური უნარების გასავითარებელ აქტივობებს (ხატვა, ძერწვა, კონსტრუირება, სიმღერა, ცეკვა, დრამა, თოჯინების და ჩრდილების თეატრი, როლური, მოძრავი და სამაგიდო თამაშები, ექსპერიმენტები და სხვ.). მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვებს შორის მეგობრული და თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ყოველდღიური პროცესი სახალისოა და არ მოიცავს რაიმე სახის ინფორმაციის ფორმალურ გადაცემას. თამაშის, კვლევის, კეთების პროცესში ბავშვები თავს კომფორტულად გრძნობენ და ივითარებენ მაღალი ხარისხის სააზროვნო უნარებს: შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, ანალიზსა და პრობლემის გადაჭრას. ამგვარად, ეს მეთოდი უზრუნველყოფს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას.

ჯგუფის სივრცე

ბაღში ჯგუფის სივრცე მოწყობილია ისე, რომ ბავშვს ჰქონდეს მანიპულირებისა და მასალების მოსინჯვის საშუალება. მასალები „ტრანსფორმირებადია“ (open-ended, მაგ. ხის სხვადასხვა ზომისა და ფორმის კუბურები, სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილები, ბუნებრივი მასალები და ა.შ.), ანუ წაახალისებს ბავშვს, რომ შემოქმედებითად გამოიყენოს მასალები რაიმეს შესაქმნელად.

ჯგუფები დაყოფილია პატარა არეებად, კუთხეებად, სადაც ბავშვებს სხვადასხვა სახის აქტივობებში ჩართვის საშუალება აქვთ და შესაბამისად, სხვადახვა უნარებს განივითარებენ. ოთახში პატარა სივრცეების გარდა, არის ერთი ისეთი ადგილი, სადაც ყველა ბავშვი დაეტევა, ე.წ. ჯგუფური შეხვედრების ადგილი. ჯგუფური შეხვედრების ადგილზე ბავშვები და მასწავლებლები ერთად იკრიბებიან და ერთმანეთს გასული ან მიმდინარე დღის მუშაობის შედეგებს აცნობენ, კითხულობენ წიგნებს, თამაშობენ ჯგუფურ თამაშებს. ჯგუფის სივრცის მოწყობისას გათვალისწინებულია შემდეგი:

- ბავშვების ნამუშევრები კედლებზე ბავშვის თვალის სიმაღლეზეა გამოფენილი;
- მასალები და აღჭურვილობა ხელმისაწვდომია ყველა ბავშვისთვის;
- მასალები დალაგებულია გარკვეული წესის მიხედვით, ისე, რომ ბავშვებმა იცოდნენ, სად იპოვნიან საჭირო ნივთს;
- თაროები არ არის გადატვირთული, მათზე არის გრაფიკული ნიშნები იმის საჩვენებლად, თუ სად რა არის მოთავსებული;
- მასალები ლოგიკურად არის ორგანიზებული, მაგალითად, ფანქრები და ფლომასტერები სახატავი ფურცლების გვერდით;
- ოთახში შექმნილია სახლის მსგავსი მყუდრო ატმოსფერო, დეკორატიული ნივთებით, ოთახის მცენარეებით, თევზების აკვარიუმით, მაგიდის გადასაფარებლებითა და ლამაზი ბალიშებით;
- თითოეულ ბავშვს აქვს თავისი ყუთი ან კალათა საკუთარი სახელით ან ფოტოთი - პირადი ნივთების შესანახად;
- ოთახში არის პატარა, წყნარი ადგილები, სადაც შეიძლება ითამაშოს ერთმა ან ორმა ბავშვმა;
- ყოველდღიური მორიგეობის სია გრაფიკულად ისე უნდა იყოს გაფორმებული, რომ ბავშვებმა შეძლონ საკუთარი თავისა და მოვალეობების ამოცნობა (ეს შეიძლება იყოს ნახატი, ფოტო, წარწერა).

ეზო

ეზო ბაღის ყოველდღური განრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. შესაბამისად, ეზოს გარემოც ბავშვებს სხვადასხვა უნარების განვითარების საშუალებას მისცემს. ეზოშიც იქნება თემატური სივრცეები სხვადასხვა როლური თამაშის გასაშლელად („ოჯახობანა“, მეორადი მუსიკალური ინსტრუმენტების არე, საძრომიალო და ა.შ.), ადგილი სენსორული აქტივობების ჩასატარებლად (ქვიშითა და წყლით მანიპულირება), ეზოში ბავშვებს აქვთ საშუალება დაამუშაონ მიწა, დათესონ მცენარეები და მოუარონ მათ.

დღის განრიგი

ბაღში ყოველი დღე იწყება და მთავრდება დილის (საღამოს) წრით, ანუ ჯგუფის საერთო შეხვედრით, სადაც მასწავლებელი და ბავშვები ერთმანეთს უზიარებენ მათთვის საინტერესო და აქტუალურ აზრებს, ესალმებიან, გეგმავენ ან აჯამებენ დღეს და ემშვიდობებიან ერთმანეთს. გარდა ამისა, არსებობს კიდევ რამდენიმე აქტივობა, რომელიც ყოველდღიურად უნდა შესრულდეს. მაგალითად, ყოველდღიურად ბავშვები გარეთ ატარებენ არა ნაკლებ ორი საათისა, აგრეთვე ყოველდღიურად ხდება მცირე ჯგუფებში მუშაობა, წიგნის კითხვა (მოსმენა), ატელიეში მუშაობა, ფიზიკური მოძრაობები, თავისუფალი თამაში, დასვენება, კვება.

დღის განრიგში დაცულია ბალანსი მასწავლებლის მიერ დაგეგმილ და ბავშვების ინიციატივით წამოწყებულ აქტივობებსა და განვითარების სხვადასხვა სფეროებთან დაკავშირებულ აქტივობებს შორის. ბავშვებს აუცილებლად აქვთ დრო (დაახლოებით მთელი დროის 1/4) თავისუფალი თამაშისათვის, ურთიერთობებისთვის, ერთმანეთთან და მასწავლებელთან სასაუბროდ. დღის განრიგი არის მოქნილი, მასწავლებელს აქვს საშუალება დაგეგმოს აქტივობების მიმდევრობა ბავშვების ბუნებრივი დროის გათვალისწინებით და პროექტის თემის ლოგიკიდან გამომდინარე. მაგალითად, ჯერ თამაში ეზოში და თოვლის შეგროვება, შემდეგ ოთახში დაბრუნება და თოვლზე ექსპერიმენტების ჩატარება ან ჯერ ოთახში პროფესიების თემაზე მუშაობა, ხოლო მერე სასეირნოდ გასვლა და საპარიკმახეროს სტუმრობა.

მასწავლებლის როლი

მასწავლებლის უპირველესი მიზანია შექმნას ისეთი გარემო, რომ ბავშვმა თავი იგრძნოს ლაღად და მხიარულად, სიხარულით მოდიოდეს დილით და სიამოვნებით ატარებდეს დღეს. ჩვენს ბაღში მასწავლებელი ინდივიდუალურ პოზიტიურ ურთიერთობას ამყარებს თითოეულ ბავშვთან, ესაუბრება, ყურადღებას იჩენს ბავშვის ინტერესებისა და პრობლემების მიმართ, უთანაგრძნობს მას. მასწავლებელი ხელს უწყობს ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას ისე, რომ არც ერთი ბავშვი არ არის უარყოფილი და გარიყული, ასწავლის მათ კონკრეტულ სტრატეგიებს მეგობრობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად.

წაახალისებს ბავშვს დაინტერესდეს სხვადასხვა მოვლენით, დამოუკიდებლად მოიძიოს პასუხები გაჩენილ კითხვებზე. მასწავლებელი იყენებს ბავშვების დაინტერესების სხვადასხვა ხერხს: ისტორიის მოყოლას, არტეფაქტის ჩვენებას, ექსკურსიას, სურათებიანი წიგნის დათვალიერებას და სხვ. სვამს ღია კითხვებს, რაც ხელს უწყობს ბავშვების აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას. აქტივობების დაგეგმვისა და ჩატარებისას მასწავლებელი აკვირდება თითოეული ბავშვის ინტერესებს და შესაძლებლობებს, შეუძლია განსაზღვროს თითოეული ბავშვის განვითარების უახლოესი ზონა და წაახალისებს მას შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. მასწავლებლები სისტემატურად აკეთებენ ბავშვების განვითარების დოკუმენტირებას, აწარმოებენ ბავშვის პორტფოლიოს, მუდმივად განაახლებენ ნამუშევრების საგამოფენო დაფას.

პორტფოლიო არის ბავშის ინდივიდუალური ნამუშევრების ნაკრები, სადაც დოკუმენტირებულია მისი ჯგუფში მუშაობის პროცესი და ამ მუშაობის შედეგები. ეს არის ნახატები, სამუშაო ფურცლები, ნამუშევრები წერითი ელემენტებით, ბავშვის ფოტოები სხვადასხვა აქტივობების დროს, ბავშვის მიერ გაკეთებული ისეთი ნამუშევრების ფოტოები, რომლებსაც დიდხანს ვერ შევინახავთ (კუბურებით აშენებული შენობა, საქვიშეში გაკეთებული კონსტრუქცია, პლასტილინის ნაკეთობა). ეს ნამუშევრები თარიღდება და ისე ინახება.

მშობლებთან თანამშრომლობა

მშობლები აქტიურად არიან ჩართულები ბაღის ცხოვრებაში. მასწავლებელი მიმართავს მშობელთა ჩართვის სხვადასხვა გზებსა და ფორმებს:

- საინფორმაციო დაფა, რომელიც მოთავსებულია ჯგუფის შესასვლელში. აქ გამოფენილია ბავშვების ნამუშევრები;
- სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტოები. ამავე დაფაზე მასწავლებელი მშობლებს გააცნობს კვირის თემას;
- გამოაქვეყნებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ჩანაწერებს;
- ყოველდღიური კომუნიკაცია თითოეულ მშობელთან ინდივიდუალურად ბავშვის წარმატებებზე და მიღწევებზე;
- ყოველკვირეული შეხვედრები სასწავლო პროცესთან დაკავშირებული თემების განსახილველად;
- მშობელთა მიერ საკუთარი ნიჭის, საქმიანობის, პროფესიული ცოდნის გაზიარება;
- არტეფაქტების მოტანა, მეორადი მასალის შეგროვება;
- ჯგუფში და მის გარეთ მიმდინარე აქტივობებში, ექსკურსიებში მონაწილეობა.

მასალა მოამზადა
ანა ფირცხალაიშვილმა

ПЕДАГОГТА ДАСАХМАРЕБЛАД

ეკა ტყავაშვილი

ინგლისური ენა

ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება ინგლისური ენის გაკვეთილზე

ინგლისური ენა, როგორც ყველა ენა, კულტურის შემადგენელი ნაწილი და კულტურის გამოხატვის საშუალებაა. ეს ურთიერთობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კულტურას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ენის შესწავლის დროს და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ენის შესწავლა მხოლოდ მისი სტრუქტურების სრულყოფილად დაუფლებას არ ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა – განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ნებისმიერი ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასებას და პატივისცემას. უცხო ენის გაკვეთილზე, ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენისა და სხვადასხვა თემატიკისათვის საჭირო ლექსიკურ მარაგთან ერთად, საჭიროა ნასწავლი ახალი ლექსიკისა და ათვისებული სტრუქტურების შესაბამის სიტუაციებში გამოყენება, რაც ენის შესწავლისას უცხო კულტურული ინფორმაციის ათვისების საფუძველზე ხდება.

კულტურის გაგება ხელს უწყობს შემსწავლელის პირადი ინტერესის გაჩენას შესასწავლი ენისა და კულტურისადმი. რაც უფრო მეტს იგებს ენის შემსწავლელი, მით უფრო მეტის გაგება სურს მას. ენის მატარებელი ხალხის შესახებ ინფორმაციის მიღება და მათი მენტალობის ცოდნა, ტრადიციების გაგება, ენის მატარებლებთან ურთიერთობისას, ენის ადეკვატურად და ეფექტურად გამოყენებას უზრუნველყოფს.

საკუთარი გამოცდილება პირველადია განსხვავებული კულტურის აღქმისას. ადამიანები არასოდეს არ აღიქვამენ სიტუაციას მიუკერძოებლად. სხვა კულტურების მოვლენებს ისინი საკუთარი კულტურული ნორმების პოზიციიდან აღწერენ და აფასებენ. გასაგებია, ასეთ შემთხვევაში, არც ერთი მსჯელობა არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად სწორად ან არასწორად. ადამიანები მხოლოდ გამოხატავენ ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას, რასაც საფუძვლად უდევს სპეციფიკური თვალსაზრისი კულტურაზე და მის პერსპექტივებზე. ეს თვალსაზრისი დამოკიდებულია იმ „საკუთარ“ კულტურულ გარემოზე, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. სოციალიზაციის პროცესში ადგილი აქვს „მისი“ კულტურისთვის რელევანტური ურთიერთობების, მრწამსის, ქცევის მანერის ინტერიორიზაციას. იგი იძენს სპეციფიკურ ორიენტაციას, რაც განსაზღვრულია მისი კულტურული გარემოთი. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს აღქმის, აზროვნების და ქმედების სისტემაზე უცხო კულტურის პირობებში.

სკარსელას და ოქსფორდის მიხედვით (სკარსელა, 1992: 185), კულტურის შესწავლის ტრადიციულ და თანამედროვე მიდგომებს შორის შემდეგი განსხვავებები არსებობს:

ტრადიციული მიდგომა	თანამედროვე მიდგომა
• კულტურა არის ენაზე რეალური მუშაობიდან გადახვევა. • კულტურის განმარტება შეზღუდულია და ადგილი არ აქვს ინდივიდუალურ აღქმასა და ინტერპრეტაციას. • მასწავლებელი წარადგენს მიზნებს კულტურის გაცნობიერებისათვის. • კულტურული განსხვავებების ცოდნა ან კოგნიტური გაგება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კულტურის სოციალური და ემოციური ასპექტები.	• კულტურა ცენტრალური ნიშანია. • კულტურა შეიცავს ქცევას, დამოკიდებულებას, იმპლიციტურ წესებს და მათ ინდივიდუალურ აღქმასა და ინტერპრეტაციას. • სტუდენტები თვითონ ისახავენ მიზნებს კულტურის გაგებისათვის. • კულტურული განსხვავებების ცოდნასა და კოგნიტურ გაგებასთან ერთად, ხაზგასმულია კულტურის ემოციური და სოციალური ასპექტები.

მოცემული ცხრილის მიხედვით, უცხო ენის სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია:

• ენის შემსწავლელთა მსოფლმხედველობის განვითარება საკუთარ კულტურაზე დაყრდნობით;

• არსებული გამოცდილებების შედარება ახალ კულტურასთან;

• უცხო კულტურის გამოცდილების დიფერენცირებული აღქმა და მისი შედარება საკუთარ კულტურასთან;

• უცხო კულტურის თავისებურებების სწორად შეფასება და დაფასება.

ენის მასწავლებლებისთვის ენის სწავლება რეალობის სწავლებას ნიშნავს. მასწავლებელმა, ენის შესწავლისას, მოსწავლეები უცხო კულტურის აღქმას, ამ კულტურის თავისებურებების სწორად შეფასებას და დაფასებას უნდა აზიაროს. უცხო ენის მასწავლებლებმა შემსწავლელების მიერ სამყაროს განსხვავებულად აღქმა უნდა უზრუნველყონ.

მაგალითად, საქართველოში ინგლისელი ან ამერიკელი მასწავლებელი მოწაფეებს ეუბნება: **დრო ფულია**. ქართველი ბავშვისთვის ეს გაუგებარია, რადგანაც იგი პოლიქრონული კულტურიდან არის, განსხვავებით მასწავლებლისაგან, რომელიც მონოქრონული კულტურის წარმომადგენელია, სადაც დროის სწორი მართვა აუცილებელი მოთხოვნაა – დროს პატივისცემით ეპყრობიან და ამით სხვის დროსაც ზოგავენ.

მასწავლებლის დახმარებით, ენის შემსწავლელი შემწყნარებელი უნდა იყოს მისი სამყაროსგან განსხვავებული, სხვა სამყაროს, ანუ უცხო კულტურის მიმართ. ის, რომ ამერიკაში ჩასული ქართველი მოსწავლისათვის გაუგებარია, რატომ არ სთავაზობს მასპინძელი ამერიკელი მეგობარი, მასთან სტუმრად ყოფნისას, სამჯერ ან ოთხჯერ საჭმელს ან სასმელს, არ უნდა ნიშნავდეს ამერიკელის არასტუმართმოყვარეობას. ქართველმა მოსწავლემ, შეთავაზებისათვის საჭირო ენობრივ მასალასთან ერთად, უნდა იცოდეს, რომ ამერიკელი, ჩვენი სტუმრობისას, მთელი თვისთვის ნაყიდ სურსათ-სანოვაგეს მაგიდაზე არ დაგვიწყობს და თანაც ათასჯერ არ გვეტყვის: „Help yourself“ (მიირთვით).

მოგეხსენებათ, უცხო კულტურის გაცნობიერება სხვადასხვა დონეზე მიმდინარეობს, დაწყებული სტერეოტიპების დონიდან დამთავრებული ჭეშმარიტი ემპათიით. ამ ორ პოლუსს შორის სხვა დონეებიც არსებობს. რობინ სქარსელა და რებეკა ოქსფორდი (სქარსელა, ოქსფორდი. 1992: 182) იმოწმებენ ჰანვეის (1976, 1987) და გამოყოფენ კულტურის გაცნობიერების ოთხ დონეს:

პირველი დონე
ფაქტები, სტერეოტიპები და დეფიციტები

ინგლისური ენის შემსწავლელს შეიძლება ჰქონდეს შესასწავლი ქვეყნის კულტურაზე შექმნილი სტერეოტიპები, ანუ ისეთი წინასწარ ჩამოყალიბებული (ხშირად აკვიატებულიც კი) აზრები, როგორიცაა, მაგალითად:

• ყველა ამერიკელი ზის დიდ მანქანაში და საუბრობს ხმამაღლა;

• ამერიკელები სვამენ ლუდს და აცვიათ კოვბოური ჩექმები;

• ყველა ამერიკელი აწყობს ფეხებს მაგიდაზე და ა.შ.

მეორე დონე
კულტურის ზედაპირული აღქმა

ამ დონეზე შემსწავლელი ამჩნევს უფრო დახვეწილ თვისებებს და პროცესებს და ზოგჯერ იმედგაცრუებული რჩება. მაგალითად, ინგლისური ენის შემსწავლელი აღმოაჩენს, რომ ამერიკელი მოქალაქეები ჭეშმარიტად მეგობრულები არიან, ე. ი. დაინტერესებული არიან, ადამიანებთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ. თუმცა, ენის შემსწავლელი იმასაც აღმოაჩენს, რომ ზოგიერთი ამერიკელი მხოლოდ ზედაპირულად ჩანს მეგობრული, რადგან მათი ნათქვამი – „მოდით ერთხელ შევხვდეთ“ – უმეტეს შემთხვევაში, არ შეიძლება სერიოზულად ნათქვამი იყოს და მხოლოდ თავაზიანობის ფორმულას წარმოადგენდეს. ასეთი აღმოჩენები ზოგჯერ დამაბნეველი და გამაღიზიანებელიც კი არის.

მესამე დონე
კულტურის ღრმა გაგება

ამ დონეზე შემსწავლელი იწყებს კულტურული მოვლენების გაგებას კულტურის მატარებლის თვალსაზრისიდან. ამ დონეზე ადგილი აქვს ამ კულტურის გარკვეულ დონეზე მიღებას.

შემსწავლელმა უკვე იცის, რომ შეკითხვა – how are you? – არ ნიშნავს ჯანმრთელობის მდგომარეობის დაწვრილებით და საფუძვლიანად აღწერას და ეს მხოლოდ საუბრის დაწყებისთვის ნათქვამი რეპლიკაა. პროქსემიკა, ანუ მოსაუბრეებს შორის დასაშვები მანძილი, ქართულ და ამერიკულ კულტურებში, განსხვავებულია. ამერიკელი ანთროპოლოგის და კროს-კულტურული შესწავლის სპეციალისტის, ჰალის, მიხედვით ამერიკელისთვის ინტიმური სივრცე 15-დან 45 სანტიმეტრამდეა, პირადი სივრცე ახლო მეგობრებს შორის ურთიერთობისთვის – 45 სანტიმეტრიდან 120 სანტიმეტრამდე, სოციალურ ნაცნობებთან ურთიერთობისთვის – 1,2-3,6 მეტრამდე, ხოლო საჯარო – 7,5 მეტრი და მეტიც კი. ქართველისთვის ეს მანძილი გაცილებით მცირეა. ენის შემსწავლელი ამას კულტურის გაცნობიერების მესამე დონეზე უკვე აცნობიერებს და საუბრისას თანამოსაუბრის პირად სივრცეში „არ იჭრება“.

მეოთხე დონე
ემპათია

ეს დონე მიიღწევა მხოლოდ კულტურაში ჩართვით, რასაც შუმანი აკულტურაციას (შუმანი. 1978: 27-50) უწოდებს. შუმანმა წამოაყენა მოდელი, რომლის მიხედვითაც, არსებობს დისტანცია ინდივიდუალურ შემსწავლელსა და შესასწავლ კულტურას შორის. რაც უფრო მცირეა ეს დისტანცია, მით უფრო მეტ აკულტურაციას აქვს ადგილი. ამ დროს, ერთ-ერთი დამახასიათებელი სასაუბრო ფორმებისა და სლენგის უხვად გამოყენება და ისეთი კულტურული ნორმების დაცვაა, როგორიცაა, მაგალითად, დღესასწაულების აღნიშვნა.

რასაკვირველია, უცხო ენის სწავლებისას მასწავლებლის მიზანი არ არის ჩამოთვლილი დონეებიდან ყველა დონის, განსაკუთრებით კი მეოთხე დონის, მიღწევა. უცხო ენის მასწავლებლის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს, გასცდეს პირველ დონეს, რომელიც ცრუ განზოგადებებს და არასწორი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას იწვევს. უცხო ენის შემსწავლელმა, საჭიროა, შეიძინოს შესასწავლი კულტურის არა მარტო ზედაპირული, არამედ, გარკვეულ დონეზე, სიღრმისეული გაგებაც. მასწავლებელმა მოწაფეებს ხშირად უნდა წარუდგინოს **კრიტიკული ინციდენტები**, ანუ პრობლემური სიტუაციები. ამ დროს მოწაფეები აანალიზებენ განსხვავებული კულტურების მქონე ადამიანების ქცევას ერთ რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში, აძლევენ შეფასებას და პოულობენ პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზებს. მსგავსი შეფასება მათ დაეხმარებათ, თავიდან აიცილონ ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება, მომავალში, უცხო კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას წარმოიშვას.

ქვემოთ წარმოდგენილ ერთ-ერთ კრიტიკულ ინციდენტში ნათლად ჩანს, როგორ აღიქვამენ განსხვავებული კულტურის მქონე ადამიანები ერთსა და იმავე მოვლენას.

კრიტიკული ინციდენტი

ლიფტი არ მუშაობს

ნინო: ვწუხვარ, რომ ლიფტი გაფუჭებულია.
შერონი: მერე, ვის დაველაპარაკოთ ამაზე?
ნინო: ვის უნდა ვუთხრათ?
შერონი: ხო, ვის ეხება ეს ამბავი?
ნინო: მე რა ვიცი!?
შერონი: კი, მაგრამ შენ აქ არ ცხოვრობ?
ნინო: აქ კი ვცხოვრობ, მაგრამ... არასოდეს არავისთვის არ დამირეკავს.

ეს სიტუაცია შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: შერონს ვერ წარმოუდგენია, რომ მაღალსართულიან შენობაში მცხოვრებმა ადამიანმა არ იცის ლიფტის გაფუჭების შემთხვევაში ვის მიმართოს. მისთვის ეს ამბავი გაუგებარია. ბუნებით ამერიკელები მკეთებლები არიან. პრობლემის წაწყდომის შემთხვევაში, მათი პირველი რეაქცია მოქმედებაა. ეს გამოიხატება საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებით. ისინი ასე იქცევიან რწმენის გამო – ინდივიდუალური პირების მოქმედებას შეუძლია ვითარების შეცვლა. მის საპირისპიროდ, ნინოს აზრით, ინდივიდი შეზღუდულია თავის მოქმედებაში. მისთვის ბევრი პრობლემა უბრალოდ დაუძლეველია და ამიტომ აზრი არ აქვს მოქმედებას. პრობლემის შემთხვევაში, იგი დაელოდება სიტუაციის განვითარებას.

კულტურული ინციდენტის მსგავსია **კულტურული ასიმილატორები**, რომლებიც ინციდენტის ან სიტუაციის მოკლე აღწერას შეიცავს. ინტერაქციაში უნდა მონაწილეობდეს შესასწავლი კულტურის, სულ მცირე, ერთი წარმომადგენელი და მშობლიური კულტურის ან სხვა კულტურის წარმომადგენელი პირი/პირები. აღწერას თან მოსდევს ოთხი შესაძლო პასუხი, რომლებშიც ხაზგასმულია შესასწავლი კულტურის წარმომადგენლის ქცევის, მოქმედების ან სიტყვების მნიშვნელობა. მოწაფეები კითხულობენ სიტუაციის აღწერას და ირჩევენ ერთ პასუხს, რომელიც, მათი აზრით, ამ ინტერაქციის სწორ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც მოწაფეები აირჩევენ პასუხებს, მასწავლებელი უძღვება დისკუსიას, თუ რატომ არის სწორი ან მცდარი მოცემული არჩევანი.

კულტურული ასიმილატორის მაგალითი

მარიას გეოგრაფიის ტესტი დაგეგმილზე მეტ დროს გაგრძელდა. ამის გამო მან ისტორიის გაკვეთილზე 5 წუთით დააგვიანა. როცა მივიდა ისტორიის საკლასო ოთახთან, დაინახა, რომ კარი დაკეტილი იყო და მსუბუქად დააკაკუნა. იმ დროს, როცა მარია მასწავლებელს უხსნიდა დაგვიანების მიზეზს, მასწავლებელმა კარის დახურვა დაიწყო. მარიამ ძლივს მოასწრო კლასში შესვლა. შემდეგ საკლასო ოთახში ტომი, ამერიკელი მოწაფე შემოვიდა, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ჩუმად მივიდა თავის მერხთან და დაჯდა. მარიამ შეამჩნია, რომ მასწავლებელმა მას გაუღიმა და თავი დაუკრა.

შეკითხვა: რას ნიშნავდა მასწავლებლის საქციელი?

ა. მასწავლებელი მარიაზე იყო ნაწყენი იმის გამო, რომ დაიგვიანა და ის არ იყო გაფრთხილებული დაგვიანების თაობაზე. ამერიკელები მოელიან, რომ დაგვიანების მიზეზს წინასწარ აცნობებენ მათ. ტომმა კი წინასწარ გააფრთხილა მასწავლებელი. ამიტომაც მისი დაგვიანებით მოსვლა პრობლემა არ იყო.

ბ. მასწავლებელი ნაწყენი იყო მარიაზე იმის გამო, რომ იგი ცდილობდა საკლასო ოთახში შემოსვლას იმ დროს, როცა კარი დაკეტილი იყო. ამერიკელებისთვის დახურული კარი პრივატულობის გამომხატველია. რადგან კარი უკვე ღია იყო, მარიას მოსვლის შემდეგ ტომის დაგვიანება პრობლემას აღარ წარმოადგენდა.

გ. მასწავლებელი გაბრაზდა მარიაზე, რადგან კარზე დაკაკუნების გამო გაკვეთილი შეწყდა. გარდა ამისა, მარია მასწავლებელს ელაპარაკებოდა, როცა მთელი კლასი მათ უცდიდა. მას შემდეგ, რაც გაკვეთილი დაიწყება, ამერიკელები მოელიან, რომ მათ გაკვეთილს ვერავინ შეწყვეტს, გარდა საგანგებო შემთხვევისა, რომლითაც მთელი კლასი შეიძლება დაზარალდეს. ტომი კი ჩუმად შემოიპარა კლასში და მისი შემოსვლით გაკვეთილი არ შეწყვეტილა.

დ. მასწავლებელი განაწყენდა მარიაზე იმის გამო, რომ ის უცხოელი სტუდენტია. მისი აზრით, უცხოელი სტუდენტები უნივერსიტეტში ამერიკელების (გადასახადების) ხარჯზე სწავლობენ. ტომის გვიან მოსვლამ მასწავლებელი არ გაანაწყენა იმიტომ, რომ ტომი ამერიკელია.

სწორი პასუხი – გ.

პედაგოგთა დასახმარებლად

კრიტიკულ ინციდენტებთან და ასიმილატორებთან ერთად, ასევე, სასარგებლოა **როლური თამაშის** გამოყენება. მაგალითად, იმისთვის, რომ ავამაღლოთ მოწაფეების ცნობიერება პროქსემიკის, ანუ სივრცისადმი განსხვავებული დამოკიდებულების მხრივ, მასწავლებელი კლასს წყვილებად ჰყოფს და ურიგებს ბარათებს. მოწაფეები უნდა გაეცნონ ბარათზე მოცემულ ინსტრუქციას და როლური თამაში ბარათზე მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად შეასრულონ.

მოწაფე ა

დავალება. დაუსვი შეკითხვები და უპასუხე მოწაფე **ბ**-ს შეკითხვებს, შემდეგ თემაზე – „როგორ გაატარე დასვენების დღეები“. მიჰყევი ინსტრუქციას.

ქცევის ასპექტები

საუბრის დროს განუწყვეტლივ უღიმე მოსაუბრეს და ხშირად შეეხე. იჯექი ძალიან ახლოს. შეეცადე საუბრის გაგრძელებას. დაუსვი, რაც შეიძლება მეტი, შეკითხვა. გაიმეორე მოსაუბრის პასუხი სხვა სიტყვებით, რათა დარწმუნდე, რომ სწორად გაიგე მისი ნათქვამი.

მოწაფე ბ

დავალება. დაუსვი შეკითხვები და უპასუხე მოწაფე **ა**-ს შეკითხვებს, შემდეგ თემაზე: „როგორ გაატარე დასვენების დღეები“. მიჰყევი ინსტრუქციას.

ქცევის ასპექტები

უპასუხე მოწაფე **ა**-ს შეკითხვებს, მაგრამ მიეცი მხოლოდ არსებითი ინფორმაცია. საუბრის დროს არ შეხედო მოწაფე **ა**-ს. თავი მოაჩვენე ისე, თითქოს არ მოგწონს, როცა გეხებიან, მაგრამ მეტისმეტად თავაზიანი ხარ და მოსაუბრეს ამას ვერ ეუბნები.

როლური თამაშის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მოწაფეებს აძლევს შემდეგ შეკითხვებს:

1. შეგიძლია გამოიცნო, შენი მოსაუბრის ქცევა რით იყო გამოწვეული?

2. როგორ გრძნობდი თავს როლური თამაშის დროს?

როლური თამაშის გაანალიზების შემდეგ მოწაფეები კითხულობენ მეწყვილის ინსტრუქციას და ამოწმებენ, რამდენად სწორად გამოიცნეს მათი მოსაუბრის ქცევის მიზანი.

ამ როლური თამაშის მიზანია, დაეხმაროს მოწაფეს იმის გაცნობიერებაში, თუ რას ნიშნავს შეხვდე განსხვავებული ქცევის და ჩვევების მქონე სხვა კულტურის წარმომადგენელს და როგორ შეიძლება შეაფერხოს კომუნიკაცია არავერბალურმა (სხეულის) ენამ.

დასასრულს, უნდა აღვნიშნო, რომ უცხო ენის სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია ენის შემსწავლელთა მსოფლმხედველობის განვითარება, საკუთარ კულტურაზე დაყრდნობით და არსებული გამოცდილებების შედარება ახალ კულტურასთან; წარმატებულ კომუნიკაციას მოსწავლე მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ ის სამეტყველო უნარ-ჩვევებთან (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) და ენობრივ საშუალებებთან (ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა, მართლწერა) ერთად, ენის შესწავლისას, უცხო კულტურის აღქმას, ამ კულტურის თავისებურებების სწორად შეფასებასა და განსხვავებული კულტურის დაფასებას შეძლებს. კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლების ზემოთ განხილული ხერხები და მეთოდები კი, იმ მრავალფეროვან მეთოდებს შორის, რომლებიც ზოგადად არსებობს, უდავოდ სასარგებლო შედეგის მომცემია ამ მიმართულებით.

სასკოლო აქტივობა

აღორძინების ხანის სახეები

11 ივნისს, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შუა საუკუნეების ეპოქის თვალსაჩინო მწერლების – უილიამ შექსპირის, შოთა რუსთაველის, მიგელ დე სერვანტესის და ლოპე დე ვეგას – ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წარმოადგინეს პროექტები 116-ე საჯარო სკოლის მე-6 და მე-8 კლასების მოსწავლეებმა.

რამ განაპირობა აღორძინების ხანის შერჩევა? ზემოთ ჩამოთვლილი მწერლების მნიშვნელოვნების გათვალისწინებით, ალბათ, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. შუა საუკუნეებში რენესანსის ეპოქას დიდი ზემოქმედება ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაზე. რენესანსის რუკაც კი არსებობს. ალბათ, უპრიანი იქნება მოკლედ შეგახსენოთ ეს საინტერესო ისტორიული პერიოდი.

რენესანსი , ასევე **აღორძინება** (ძვ. ფრანგ. Renaissance ნიშნავს „ხელმეორედ დაბადებას“), გაიგივებულია ევროპის ისტორიულ-კულტურულ ეპოქასთან, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები XIV-XVI საუკუნეებია. ის დაიწყო იტალიაში გვიან შუა საუკუნეებში და, მოგვიანებით, მთელ ევროპაში გავრცელდა.

რენესანსი ძალზე საინტერესო მოვლენა იყო როგორც ლიტერატურაში, მუსიკაში, ასევე არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში. ამ დროს თავის შედევრებს ქმნიდნენ ისეთი ცნობილი მხატვრები, როგორებიც იყვნენ: ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, სანდრო ბოტიჩელი, იერონიმუს ბოსხი და სხვები. მუსიკაში მრავალი კომპოზიტორი მოღვაწეობდა, მათ შორის იყო, მაგალითად, კლაუდიო მონტეევერდი. ჩვენი ღონისძიების მუსიკალური გაფორმებისთვის ავირჩიეთ იოჰან სებასტიან ბახის ბრანდერბურგის კონცერტი №3, ჰენდელის „ალილუია“ და მისივე ბაროკოს ცეკვა „წყლის მუსიკის“ მიხედვით.

რენესანსის ხანის მხატვრულმა პრინციპებმა მეტნაკლები ძალით იჩინა თავი ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. ამ ხანას მიეკუთვნება კულტურის უამრავი შესანიშნავი ძეგლი. რენესანსის ხელოვნების უმთავრეს საგნად იქცა ადამიანი, მისი ფიზიკური სილამაზე, სულიერი ცხოვრების სიმდიდრე. ჰარმონიულად განვითარებული, ჰეროიზებული ადამიანი ეპოქის იდეალია.

აღორძინების ეპოქის განმასხვავებელი თვისება იყო კულტურის საერო ხასიათი. რენესანსი ვითარდებოდა ანტიკური თეატრალური ხელოვნების გავლენით. ყოველივე ამან განაპირობა რენესანსის ეპოქის თეატრალური ხელოვნების რეალიზმის თავისებურებანი: სინამდვილის წინააღმდეგობათა ასახვა, ხალხური ხელოვნების ტრადიციების განვითარება, ტრაგიკულისა და კომიკურის, პოეტურისა და ბუფონურის შერწყმა, რაც, რასაკვირველია, აისახა შექსპირის შემოქმედებაში.

დავუბრუნდეთ 11 ივნისის ღონისძიებას. თავდაპირველად, ღონისძიების მონაწილეებსა და სტუმრებს მცირე მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამების კოორდინატორმა, **მარინა ლომოურმა**, თქვენმა მონა-მორჩილმა, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა, **ეველინა დავითულიანმა** და 116-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგებმა – **ირინა ღვინიაშვილმა** და **ეკა ნადარაიამ**.

ღონისძიების პირველი გამომსვლელები იყვნენ **დავით კუჭუხიძე** და **ია ქვრივიშვილი**, რომლებმაც ისაუბრეს სიტყვა „რენესანსის“ მნიშვნელობის, ისტორიის და შუა საუკუნეების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოაზროვნის, მწერლის და ჰენრიჰ VIII-ს მრჩევლის, თომას მორის შესახებ, რომელიც არ შეეპუა მეფის უკანონო ქმედებებს და ამ უკანასკნელმა ის სიკვდილით დასაჯა. 2000 წელს რომის კათოლიკურმა ეკლესიამ თომას მორი პოლიტიკოსების წმინდანად შერაცხა.

გვანცა ორჯონიკიძემ, ალექსანდრე სხირტლაძემ, ანა-მარია წერეთელმა და ნინო ზარქუამ შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოუთხრეს დამსწრე საზოგადოებას. **ესმა კვაჭაძემ** წარმოადგინა გენიალური მწერლის აფორიზმები. განსაკუთრებით მსურს გამოვყო გვანცა ორჯონიკიძის ორიგინალური პრეზენტაცია, საინტერესოდ გადმოცემული მასალა სლაიდების სახით.

ღონისძიებაზე გამომსვლელმა შემდეგმა ჯგუფმა – **საბა გელაშვილის, ელენე ხაჩიძის, გვანცა ჯავახიშვილისა და სალომე გაბოძის** შემადგენლობით – შოთა რუსთაველის და თამარ მეფის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ამსახველი საინტერესო პროგრამა წარმოადგინა. შოთა რუსთაველი, მსოფლიოს მრავალ ლიტერატურათმცოდნეთა მიერ, შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად მიიჩნევა. საქართველოში შოთა რუსთაველს და თამარ მეფეს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდებათ. მაგრამ ჩემი მოსწავლეების პრეზენტაციის მთავარი ხიბლი ის იყო, რომ მათ პროექტი ინგლისურ ენაზე განახორციელეს და, ამასთანავე, გაეცნენ „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი და ოლივერ უორდროპების შესანიშნავ ინგლისურენოვან თარგმანს. მცირე ნაწყვეტი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ – *„იყო არაბეთს როსტევან...“* – **ირინე ქარჩავამ** ინგლისურ ენაზე ააჟღერა.

შემდეგ, ჩემი კოლეგების, ეკა ნადარაიასა და ირინა ღვინიაშვილის მოსწავლეთა ორმა მცირე ჯგუფმა შუა საუკუნეების ესპანეთში გვამოგზაურა და **ლოპე დე ვეგასა და მიგელ დე სერვანტესის** ბიოგრაფიებისა და შემოქმედების ამსახველი საინტერესო ფაქტები გაგვაცნო.

მოსწავლეები შესაბამისი სლაიდების ფონზე გამოდიოდნენ, რაც მათ საპრეზენტაციო მასალას საინტერესოს ხდიდა და ღონისძიებას ალამაზებდა.

მსურს აღვნიშნო, რომ პროექტზე მუშაობის დროს, მაისში, ვეწვიეთ კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრს და ვნახეთ ლევან წულაძის სპექტაკლი – უილიამ შექსპირის კომედია „როგორც გენებოთ“, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად ლონდონის გლობუსის თეატრში 2012 წელს. ღონისძიების დასასრულს კი **დავით კუჭუხიძემ** მის მიერ შექმნილი მცირე ვიდეოკოლაჟი წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნული სპექტაკლის მიხედვით, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებას მერვეკლასელთა მთელი ჩემი განაყოფი დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებაში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, სურდათ, გაემხნევებინათ მეგობრები. ეს ნამდვილად დასაფასებელია.

დაბოლოს, მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა უნივერსიტეტის ეზოში სურათები გადავიღეთ. შეიძლება ითქვას, დღესასწაული შედგა და მონაწილეებს ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ!

ნანა ქუთათელაძე
ღონისძიების ორგანიზატორი,
116-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის
პედაგოგი

ინტეგრირებული გაკვეთილი

მათემატიკა და გეოგრაფია

გაკვეთილის თემა	საკოორდინატო სიბრტყე და გრადუსთა ბადე	
სწავლების საფეხური	საბაზო. მე-7 კლასი	
გაკვეთილის ხანგრძლივობა	45წთ	
ინტეგრირებული საგნები	მათემატიკა	გეოგრაფია
მასწავლებლის სახელი და გვარი	იზაბელა გაბუნია	ლევან გაბუნია
მოსწავლეთა რაოდენობა	9 მოსწავლე	
განსაკუთრებული მიდგომების საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა	ასეთი მოსწავლე არ არის	
გაკვეთილის მიზანი	**მათემატიკა** • მოსწავლემ შეძლოს მართკუთხა საკოორდინატო სისტემაში წერტილის აგება მისი კოორდინატების მიხედვით და პირიქით, წერტილის კოორდინატების დადგენა. • დაადგინოს საკოორდინატო მეოთხედებში წერტილის კოორდინატების ნიშნები და პირიქით, წერტილის კოორდინატების ნიშნების მიხედვით განსაზღვროს, რომელ მეოთხედში მდებარეობს წერტილი. **გეოგრაფია** • მოსწავლემ შეძლოს რუკაზე ორიენტირება საკოორდინატო ბადის ძირითადი ელემენტების გამოყენებით. • განსაზღვროს სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტებისათვის კოორდინატები.	
ე.ს.გ.-ით მისაღწევი შედეგები	**მათ. VII. 12**. მოსწავლეს შეუძლია კოორდინატთა მეთოდის ორიენტაციისთვის გამოყენება. • ორიენტირებს რუკაზე ან საკოორდინატო სიბრტყეზე კოორდინატების გამოყენებით (მაგ. ასახელებს მოცემული წერტილის კოორდინატების მიახლოებით და ზუსტ მნიშვნელობას. პოულობს წერტილს მოცემული მთელრიცხოვანი კოორდინატების მიხედვით). **გეოგრაფია VII.3**. მოსწავლეს შეუძლია ორიენტირება სივრცეში. • რუკაზე განსაზღვრავს საკოორდინატო ბადის ძირითად ელემენტებს. • რუკის გამოყენებით განსაზღვრავს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების კოორდინატებს. • ასახელებს ერთ განედზე ან გრძედზე მდებარე ქალაქებს.	
გაკვეთილის მსვლელობა	**A ფაზა** **პროვოცირება** **აქტივობა 1**. პროექტორის გამოყენებით საჭადრაკო დაფის სურათის ჩვენება, რომელზეც გამოსახულია ჭადრაკის რამდენიმე ფიგურა – 3წთ. **B ფაზა** **აქტივობა 2**. მასწავლებლის მინი-ლექცია საკოორდინატო სიბრტყის შემოღების შესახებ – 7 წთ. **აქტივობა 3**. გეოგრაფიული კოორდინატების გახსენება ცხრილის „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ გამოყენებით. პირველი და მეორე სვეტის შევსებით – 7 წთ. **აქტივობა 4**. რუკასთან მუშაობა – ერთ განედზე, გრძედზე მდებარე ქალაქების მოძებნა – 3წთ. **აქტივობა 5**. საკოორდინატო სიბრტყეში წერტილების აგება კოორდინატების მიხედვით – 5წთ. **C ფაზა** **აქტივობა 6**. ზეპირი ვარჯიში. წერტილის კოორდინატების დასახელება პროექტორით ნაჩვენებ საკოორდინატო სიბრტყეზე, მთელი კლასი – 3 წთ. **აქტივობა 7**. მეოთხედებში წერტილის კოორდინატების ნიშნების დადგენა, წყვილებში – 5წთ. **აქტივობა 8.** დაკარგული სიტყვები, ინდივიდუალური – ტექსტში გამოტოვებული სიტყვების შევსება – 5 წთ. **აქტივობა 9.** კითხვა-პასუხი – 5 წთ. მასწავლებლები და მოსწავლეები აჯამებენ და აფასებენ ჩატარებულ გაკვეთილს. მოსწავლეები ავსებენ ცხრილის „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ მესამე სვეტს. **აქტივობა 10.** საშინაო დავალების მიცემა – 2 წთ.	
შეფასება	წყვილებში მუშაობა – განმავითარებელი, ინდივიდუალური – განმსაზღვრელი, თვითშეფასება.	
რესურსები	კომპიუტერი, პროექტორი, მსოფლიო პოლიტიკური რუკა, სახელმძღვანელო, ფანქარი, სახაზავი, პიერ ფერმას და რენე დეკარტეს სურათები, ბარათები.	

იზაბელა გაბუნია
სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათის საჯარო სკოლის მათემატიკის სერტიფიცირებული პედაგოგი

ინფორმაცია

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო...“

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო...“ – ეს კერძო საშუალო სკოლა „აისის“ დევიზია, რომელმაც 2015 წლის 26 მაისს 15 წლის იუბილე აღნიშნა. ვულოცავთ ყველა „აისელს“ ამ დიდებულ დღეს.

სკოლის დირექცია, ქალბატონ **იანა ტორჩინავას** ხელმძღვანელობით, უკვე 15 წელია, ღირსეულად უძღვება იმ ურთულეს საქმეს, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია. სკოლა ცდილობს ჩამოაყალიბოს ბავშვი ღვთისმოშიშ, კაცთმოყვარე მამულიშვილად. მას ხომ დიდი პასუხისმგებლობა აქვს ღვთისა და ერის წინაშე. 15 წელიწადია ვხედავთ სიყვარულით გულანთებულ, გაცისკროვნებულ თვალებს მოსწავლეებისას, სანდომიან, გულღია, სიყვარულით სავსე მოლოდინს პედაგოგებისას.

სკოლის აქტიური ცხოვრების წესი დადებითად მოქმედებს თითოეული „აისელის“ ცხოვრებაზე, განსაკუთრებული აქტიურობით 2014-2015 სასწავლო წელი გამოირჩეოდა, რადგან სკოლა 15 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ პედაგოგები, სკოლის კურსდამთავრებულები, მოწვეული საპატიო სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ განათლების სისტემის ღვაწლმოსილი და ამაგდარი მუშაკები, დამსახურებული პედაგოგები, პროფესორები, ფსიქოლოგები. საღამო მუსიკალურად და ქორეოგრაფიულად გაალამაზეს სკოლის ნიჭიერმა აღსაზრდელებმა.

სკოლა „აისის“ კედლებში მიღებული ცოდნა, უკვე 15 წელია, მოზარდ თაობას აპოვნინებს იმას, რაც ყოველგვარ პრაქტიკულ თუ მატერიალურ სარგებელს აღემატება; აღმოაჩენინებს პიროვნულ სახეს, ინდივიდუალურობას, უხელს თვალს, ანიჭებს სიმართლის, კეთილშობილებისა და სხვა ღირებულებების ღრმა განცდისა და წვდომის უნარს.

განსაკუთრებით მიულოცეს ეს დღე მე-15 კურსდამთავრებულებს. უსურვეს ღირსეულად ეტარებინოთ „აისელის“ სახელი, ეპოვოთ ცხოვრებაში ის ადგილი, სადაც მათი ნიჭი მაქსიმალურად გამოვლინდება, ღვთისგან შობილი ყოველი კაცი ხომ ნიჭიერია. ახალ სამყაროში წარმატებით გაეკვალოთ გზა და შემდგომ მათ დაეპურებინოთ მომავალი თაობა.

სასკოლო აქტივობა

პროექტის პრეზენტაცია

1 ივნისს, სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის საჯარო სკოლაში, გაიმართა პროექტის „რაჭა, ანუ ჩვენთვის სამშობლო აქედან იწყება“პრეზენტაცია, ხელმძღვანელი – **ეკატრინე ჭიჭინაძე**. პროექტის მომზადებაში ჩართული იყო სკოლის ყველა პედაგოგი და რვავე მოსწავლე: **ოლია** და **სალომე ვაჩაძეები**, **გოჩა** და **დათო ნეფარიძეები**, **მარიამ** და **ვანო გიორგაძეები**, **ელენე** და **ლუკა გოგსაძეები**.

წარმოდგენილი იყო ველევის თემის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა: ღობე, კერა ოჯინჯალითა და თუჯის ქვაბით, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები; მოეწყო ქვემო რაჭის ისტორიული ძეგლების, ველევის თემის ულამაზესი ადგილებისა და სკოლის ისტორიის ამსახველი ფოტომასალის გამოფენა; ჩატარდა ველევის თემში დღეს შემავალი სოფლების (კვირიკეწმინდა, ველევი, ბეთლევი, შხივანა) კომლებისა და მცხოვრებთა ოდენობის კვლევა და 1912 წლის კალენდრის მონაცემებთან შედარება; მოძიებულ და შესწავლილ იქნა ისტორიული და ფოლკლორული მასალა რაჭაზე, გამოიკვეთა თემისა და საერთოდ კუთხის სოფლების პრობლემა და მოსალოდნელი საფრთხე; ხეზე განთავსდა გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები რაჭასა და რაჭველებზე, ხის კენწეროზე მიმაგრებული წარწერა – „ხსოვნა კულტურაა“ პროექტის სლოგანზე მიგვანიშნებდა; პროექტის პრეზენტაცია მიმდინარეობდა ანსამბლ „ბასიანის“ მიერ შესრულებული ჩანაწერის „ბინდისფერია სოფელი“ ფონზე, პროექტის დასასრულს კი აჟღერდა ნუგზარ აფხაიძის „რაჭის მონატრება“.

მერვეკლასელი გოჩა ნეფარიძისა და მეხუთეკლასელი ლუკა გოგსაძის მიერ ბუნებრივი მასალისაგან დამზადებულ შანდლებში, პრეზენტაციის დასაწყისში, დანთებული სანთლები მოსწავლეებს თავის წარმოჩენისა და კუთხისა და სამშობლოს ძლიერების ღაღადისის აღვლენის ძალას ჰმატებდა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: ამბროლაურის რესურსცენტრის უფროსი **კახაბერ რეხვიაშვილი** და შიდა აუდიტის სამახურის თანამშრომელი **თეა მუსერიძე**, ამბროლაურის თვითმმართველი თემის საბიბლიოთეკო გაერთიანების წარმომადგენლები, ველევის თემის ხელმძღვანელები, მოსწავლეთა მშობლები და საზოგადოების წარმომადგენლები.

შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებამ დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა, მოსწავლეებმა კი ძალიან ბევრი გაიგეს და შეიმეცნეს კუთხის წარსულის შესახებ და გაითავისეს, რომ მათთვის სამშობლო აქედან იწყება.

ეკატერინე ჭიჭინაძე
სოფელ ველევის საჯარო სკოლის დირექტორი

ინფორმაცია

უსმინეთ და ისიამოვნეთ

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში, ამავე სკოლის პედაგოგის, **თამილა ნადირაშვილის** საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი გაიმართა. მან კარგა ხანია მიაღწია შემოქმედისათვის უმთავრესს – საყოველთაო აღიარებას და მსმენელთა სიყვარულს. მის შემოქმედებას კარგად იცნობს არა მარტო ჩვენი რაიონის მუსიკის თაყვანისმცემელი, არამედ თბილისელი მსმენელიც.

თამილა ნადირაშვილის ბენეფისი, რომელიც რაიონის პროფკავშირების საკოორდინაციო საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის **ნანა ჭიჭინაძის** ორგანიზებით გაიმართა, 1998 წელს სამუსიკო სკოლის ხალხით გადაჭედილ დარბაზში, დღესაც კარგად ახსოვთ რაიონის მუსიკის მოყვარულთ. ასე იყო ამჯერადაც, თამილა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით წარდგა მსმენელის წინაშე და კიდევ ერთხელ დაგვატკბო თავისი შესანიშნავი საშემსრულებლო ხელოვნებით. ნაწარმოების სიღრმისეული წვდომისა და განცდის უნარით, პედაგოგს ტოლს არ უდებდა მისი მოსწავლე **მალვინა ისმაილოვა**, რომელიც დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეა, ხოლო ხელოვნების სკოლაში – VII კლასის. მათ მსმენელს შესთავაზეს ბახის, ბეთჰოვენის, შოპენის, დებიუსის, ლისტის, პულენკის, გერშვინის და სეკრეტ გარდენის კომპოზიციები, რომელიც ქალბატონმა თამილამ ბავშვობის მეგობრების, პირველი საჯარო სკოლის ოქროს მედალოსნის, ექიმი **დათო შალვაშვილის**, პირველი საჯარო სკოლის მათმეტიკის მასწავლებლის, **თამრიკო ფხოველიშვილის** და **ვასიკო რობიტაშვილის** ხსოვნას მიუძღვნა.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ხელოვნების აკადემიაში, ვალერი შიუკაშვილის ორგანიზებით გამართულ ბახის კონკურსში, რომელიც კომპოზიტორის დაბადებიდან 330 წლისთავს მიეძღვნა, მალვინა ისმაილოვამ ლაურეატის წოდება და მესამე პრემია დაიმსახურა; თამილა ნადირაშვილის პირველი წარმატებული მოსწავლეები იყვნენ და-ძმა **ირაკლი** და **თეა ღარიბაშვილები**. პედაგოგი იხსენებს, რომ მათი შესრულება თავისუფალი, დახვეწილი, ყველასათვის გასაგები და მიმზიდველი იყო.

კონცერტის დასასრულს, პედაგოგმა და მოსწავლემ ერთად შეასრულეს (ვიოლინოს თანხლებით) ქართველი კომპოზიტორის, რევაზ ლაღიძის უკვდავი სიმღერა თბილისზე, რითაც დარბაზის მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

წარმატებებს ვუსურვებთ თითოეულ მათგანს. ქალბატონი თამილა თვითმყოფადი შემოქმედია – მისეული შესრულება ყველასაგან გამორჩეულია, ამიტომაც არის მისი მოსმენა საინტერესო და სასიამოვნო. ვინც მას ახლოს იცნობს, უმალ შეიგრძნობს ინტელექტს და მაღალ კულტურას. იგი არა მარტო საოცარი მუსიკოსი, ბრწყინვალე დიასახლისი, ყურადღებიანი დედა და ერთგული მეგობარია.

მარიკა პოპიაშვილი

სასკოლო აქტივობა

ლიტერატურული გასამართლება

აბაშის ცენტრთან ახლოს დგას ნოღოხაშის საჯარო სკოლის (დირექტორი – **ჯილდა ცომაია**) ორსართულიანი კოპწია შენობა, სადაც მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებიან პედაგოგები, რომლებიც სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს ფლობენ.

სკოლაში სამოქალაქო განათლებისა და აღზრდისათვის მუშაობის ყველა ფორმა და მეთოდი გამოიყენება. აქედან ერთ-ერთია ლიტერატურული გმირის გასამართლება. ლიტერატურული გასამართლება მოსწავლეებში ამაღლებს მხატვრული ლიტერატურის სიყვარულს, ანალიტიკურ აზროვნებას, მეტყველების კულტურას, ესთეტიკურ გემოვნებას, აღვივებს იურიდიული ცოდნის შეძენის სურვილს.

სასწავლო წლის ბოლოს უჩვეულო მღელვარება ეტყობოდა ნოღოხაშის საჯარო სკოლის მეხუთეკლასელებს. თითქმის მთელი წელი ემზადებოდნენ ინსცენირებისთვის. ამზადებდნენ ლიტერატურულ გასამართლებას რევაზ ინანიშვილის მოთხრობის „კიტრის ქურდი“ მოქმედი გმირის, აფრიას საქმეზე. დადგა ნანატრი ხუთი ივნისი. პროცესი უნდა გამართულიყო აბაშის მაგისტრანტ სასამართლო დარბაზში. გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს მოსწავლეებს აბაშის მაგისტრანტ სასამართლოს თავმჯდომარემ **რომან ხორავამ**, მდივანმა **ანანო შალამბერიძემ** და სასამართლოს თანამშრომლებმა – **ნინო კვიტაშვილმა** და **ზვიად მაკალათიამ**, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

დაიწყო „სასამართლო პროცესი“, რომელსაც ესწრებოდნენ სკოლის დირექტორი **ჯილდა ცომაია**, აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურისტი **კობა გაბელაია**, მასწავლებლები, მოსწავლეები, მათი მშობლები და მოწვეული სტუმრები.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა **ლევან კაჭარავა**, მდივანი – **ნია სიმონია**, ბრალმდებელი – **ნუგზარ ბოკუჩავა**, ბრალდებული – **ბექა ბოკუჩავა**, დამცველი – **თაკო რურუა**, ბრალდებულის დედა – **თამუნა ცომაია**, პოლიციელები: **რამაზ კაჭარავა**, **ლუკა დანელია**. მეტად საინტერესო იყო მოსწავლეების გამოსვლა, ისინი სათანადოდ იყვნენ მომზადებულები. ბრალმდებელს და დამცველს მომზადებული ჰქონდათ შეკითხვები.

ბრალდებულის საბოლოო სიტყვის შემდეგ, სასამართლოს სათათბირო ოთახში, გამოიტანეს განაჩენი და საჯაროდ გამოაქვეყნეს. მიღებულ იქნა სწორი გადაწყვეტილება – ბრალდებულ აფრიაზე შეწყდა სასამართლო საქმე და ის სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა. სამართლიანმა გადაწყვეტილებამ დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა და დარბაზი ყოველივე ამას აპლოდისმენტებით შეხვდა.

ბოლოს სასამართლოს თავმჯდომარემ, რომან ხორავამ ინსცენირებაში მონაწილე მოსწავლეებს საჩუქრები გადასცა და მათთან სამახსოვრო სურათიც გადაიღო.

კიდევ ერთი ლამაზი დღე ჩაიწერა აბაშის რაიონის ნოღოხაშის საჯარო სკოლის მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრების ისტორიაში.

რევაზ ინანიშვილის „კიტრის ქურდები“

მდივანი – გთხოვთ ფეხზე ადგეთ, სასამართლო მობრძანდება.

სასამართლოს თავმჯდომარე – მიმდინარე წლის 5 ივნისს ნოღოხაშის საჯარო სკოლის მეხუთეკლასელები განიხილავენ საქმეს რევაზ ინანიშვილის მოთხრობის „კიტრის ქურდები“ გმირის – აფრიას ბრალდებაზე. ვთხოვ მდივანს, მოახსენოს სასამართლოს, ვინ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე.

მდივანი – სასამართლო პროცესზე გამოცხადდნენ: ბრალდებული აფრია, ბრალმდებელი მიხაკო ჯალიაშვილი, დამცველი.

თავმჯდომარე (მიმართავს ჯერ ბრალმდებელს, შემდეგ დამცველს) – ბრალმდებელო ჯალიაშვილო, თანახმა ხართ თუ არა, რომ გაირჩეს საქმე? დამცველო, თანახმა ხართ თუ არა, გაირჩეს საქმე? სასამართლოში მიცემულო აფრია, თანახმა ხართ თუ არა, გაირჩეს საქმე? (თითოეული აცხადებს თანხმობას) საქმეს განიხილავს ლიტერატურული სასამართლო, შემდეგი შემადგენლობით: სასამართლოს თავმჯდომარე – **ლევან კაჭარავა**, მდივანი – **ნია სიმონია**, ბრალმდებელი – **ნუგზარ ბოკუჩავა**, ბრალდებული აფრია – **ბექა ბოკუჩავა**.

სასამართლოში მიცემულო აფრია ან ადვოკატო, ხომ არ გაქვთ აცილება სასამართლოს შემადგენლობის ან მისი რომელიმე წევრის მიმართ?(არა)

სასამართლო იწყებს სამსჯავრო გამოძიებას. ვაქვეყნებთ საბრალდებო ოქმს.

მდივანი – საბრალდებო ოქმი მწერალ რევაზ ინანიშვილის მოთხრობის „კიტრის ქურდი“ გმირის აფრიას საქმეზე.

ადრე დაქვრივებული ირინე თეთრაშვილის ბიჭი აფრია მიხაკო ჯალიაშვილის ვენახში გადაიპარა. მიხაკო ჯალიაშვილი სოფელში განთქმული მევენახე იყო. ყოველ წელიწადს საადრეო კიტრს თესავდა. აფრიას კიდევ საადრეო კიტრი ქვეყანას ერჩია და, სანამ თავიანთი დაისხამდა, ჯალიაშვილის კიტრით მიდიოდა იოლას.

ჯალიაშვილის ღობეს, ღელის მხრიდან, ბებერი თელების ფესვებში ერთი საძრომი ჰქონდა. აფრია საძრომით მიეპარა კიტრებს, ფოთლები გასწი-გამოსწია, ერთი ქორფა კიტრი იპოვა, მოწყვიტა და მაშინვე პირში იკრა. შემდეგ დანარჩენი მოწყვიტა და უბეში ჩაიყარა. ის იყო გამობრუნებას აპირებდა, რომ გაიხედა, ხედავს ბილიკზე ჯალიაშვილი მოდის.

აფრია ფრთხილად ჩაწვა ვაზის ძირას, ყველაზე მაღალ ფოთლებში. წევს და ელოდება, როდის ჩაივლის ჯალიაშვილი.

ჯალიაშვილმა სწორედ კიტრებთან გადმოუხვია და პირდაპირ აფრიას წაადგა თავზე.

– ბიჭო, აფრია არა ხარ?

აფრიამ ტირილი დაიწყო.

– ბიჭო, რა გინდა აქ?

– მუცელი ამტკივდა და დავწექი.

– დამაცადე, – უთხრა ჯალიაშვილმა. ვითომც არაფერიო, ხელი უბეში ჩაუყო, ჯერ ერთი კიტრი ამოაცალა, მერე მეორე, მერე მესამე. ქამარიც შემოხსნა, იმ ქამრით კიტრები ერთმანეთზე გადააბა.

– ადე ზეზე.

ჯალიაშვილმა ქამრით გადაბმული კიტრები კისერზე ჩამოკიდა და უბრძანა:

– წადი წინ და ემაგ კიტრებს ხელი არ ახლო, თორემ გაგიხეთქე თავი ამ ბარით.

თავმჯდომარე – სამართალში მიცემულო აფრია, გასაგებია თუ არა თქვენთვის ბრალდების შინაარსი და ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ.

ბრალდებული – ბრალდების შინაარსი გასაგებია, მაგრამ თავს დამნაშავედ ნაწილობრივ ვცნობ.

თავმჯდომარე – გთხოვთ, აგვიხსნათ თქვენი პასუხი.

ბრალდებული – ჩემი ვინაობა ყველასათვის ცნობილია. მე ობოლი ბიჭი ვარ, კიტრი კი ძალიან მიყვარს. რადგანაც ჯალიაშვილებთან ნაადრევად მოვიდა კიტრი, სულმა წამძლია და ვიცელქე, არ ჩამითვალოთ ეს დანაშაულად. მიიღეთ ეს, როგორც ბავშვური სიცელქე. ამიტომ თავს ნაწილობრივ ვცნობ დამნაშავედ.

თავმჯდომარე – გთხოვთ შეკითხვები მისცეთ.

ადვოკატი – თქვენ ბრძანეთ, რომ კიტრი გიყვართ. განა ქვეყნად რაც გიყვართ და მოგწონთ, თუ მოიპარავთ, ფიქრობთ, ბავშვურ საქციელში ჩაგეთვლებათ?

ბრალდებული – მართალია, მე კიტრი ძალიან მიყვარს, მაგრამ ახლა პირნათლად ვგრძნობ, რომ სწორად არ მოვიქეცი. მარტოდ დარჩენილ დედას გული ვატკინე, ხოლო ღობის კუთხესთან ახოვანი მამის ლანდი და მისი ნაღვლიანი გამოხედვა არასოდეს არ მომცემს უფლებას, რომ მსგავსი გავიმეორო.

თავმჯდომარე – ბრალმდებელო, შეგიძლიათ შეკითხვები მისცეთ სამართალში მიცემულს.

ბრალმდებელი – სხვის ნაშრომს და ნაოფლარს რატომ იპარავდი, იფიქრე კი ამაზე?

ბრალდებული – მე ჩემს საქციელს არ ვამართლებ. თქვენ რა, პატარა არ ყოფილხართ? ან არ გაგიგონიათ მაინც პატარაობა? თანაც, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, თუ ამდენი ამბავი მოჰყვებოდა ამას. მე ყველაზე უფრო ვნანობ, რომ ჩემს პატარა ძამიკოს და დედას გული ვატკინე.

ადვოკატი – გთხოვთ, შემოიყვანოთ აფრიას დედა. მიგაჩნიათ თუ არა შვილი დამნაშავედ?

აფრიას დედა – ჯალიაშვილი ჩვენი სოფლის წურბელაა, თვითონ არის სხვისი ნაოფლარის მიმთვისებელი. მაგას ხომ არ ჰგონია, უმამოა და დავაბრიყვებო, თავს გადავუპობ მაგ სოფლის წურბელას.

ადვოკატი – ბატონებო! მე შემთხვევით არ მიმიმართავს ამ შეკითხვით აფრიას დედასთვის. ნათლად გამოიკვეთა მისი პოზიცია. ის თავის შვილს ამართლებს, მაგრამ საინტერესოა, რა მოტივით? ქალბატონო, შეგიძლათ დაგვისაბუთოთ თქვენი ბრალდება ჯალიაშვილზე.

აფრიას დედა – ჯალიაშვილი რომ ადამიანი ყოფილიყო, შეეძლო ჩემთან მოსულიყო. ბიჭი ობოლია, წასცდა ფეხი, მაგრამ რა საჭირო იყო მისი ასე საჯაროდ გაკიცხვა. განა მე არ ვეყოფოდი მაგას? კარგი მამის შვილია ჩემი აფრია და იმ კარგი მამის შემარცხვენელ შვილს თავად მე გამოვუტანდი განაჩენს.

თავმჯდომარე – ბრალდებულო აფრია, რას მოითხოვთ სასამართლოსგან?

ბრალდებული – მე ნამდვილად ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად ჩემი გარდაცვლილი მამის წინაშე, რადგანაც ჩემი საქციელით მას იქ, იმქვეყნად დიდი ტკივილი მივაყენე. უკვე მოგახსენეთ, ჩემი საქციელი ბავშვური სიცელქე იყო. ამიერიდან მსგავსი არ გამეორდება. ეს იქნება ჩემთვის ცხოვრების პირველი გაკვეთილი, პირველი სიმწარე, რომელსაც არასოდეს არ გავიმეორებ. ახლა კი, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

მდივანი – სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად.

სასამართლოს თავმჯდომარე – ვინაიდან აფრია გრძნობს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ინანიებს მას და ითხოვს პატიებას, ამასთანავე სასამართლო ითვალსწინებს, რომ ის არასრულწლოვანია, ობოლია, მის მიერ ჩადენილი საქციელი ჩაეთვალოს ბავშვურ საქციელში, შეწყდეს ბრალდებულ აფრიაზე სასამართლო საქმე და ის სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდეს.

ჯულიეტა მაისაია
აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოღოხაშის საჯარო სკოლის პედაგოგი

ინფორმაცია

„აი, კახეთი, მუხლებმაგარი...“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის IV[3] კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი – **ლია ხატიაშვილი**) კიდევ ერთი ლამაზი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია შესთავაზეს დამსწრე საზოგადოებას. ერთი შეხედვით აშკარად იგრძნობოდა, რომ პედაგოგს სანიმუშოდ, დიდი სიყვარულით უმუშავია თავისი მოსწავლეების აღსაზრდელად, ეს თავად ბავშვების მოწესრიგებულ ჩაცმულობაში და მანერებშიც კი შეიმჩნეოდა. შავ კოსტიუმებში და იასამნისფერ ჰალსტუხებში გამოწყობილი ქოჩორა ბიჭები და იებივით, იისფერ ატლასის კაბებში ჩაცმული, გოგონები ყელს იღერებდნენ სცენაზე. ლია მასწავლებლის პროექტში IV კლასის ყველა მოსწავლემ მხატვრულად წაიკითხა ლექსი, გია ყანჩელის მუსიკის ფონზე.

საყურადღებოა, რომ სოფელ ხორნაბუჯის სკოლაში კვლავ გრძელდება ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვების სწავლა-აღზრდა. ამ სკოლის ხიბლიც სწორედ ეს არის. თითოეული რუსი ბავშვის აქცენტით წარმოთქმული ქართული ლექსი, ბერძენის ნამღერი მუხამბაზი და სომეხი ბავშვის შესრულებული სახასიათო როლი ბევრად უფრო მეტს მეტყველებს საქართველოს ტოლერანტობაზე, ვიდრე სიტყვებით გამოთქმული თეზისები. ამ სკოლას მეგობრობის სკოლას ეძახიან, სადაც ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, ბოშები ერთად სწავლობენ არა მარტო სკოლის პროგრამას, არამედ ერთ ჭერქვეშ ყოფნას, მეგობრობას, ერთმანეთის სიყვარულს, ერთმანეთისთვის ხელის გამართვას და ეს ყოველივე ლამაზად, ძალდაუტანებლად გამოსდით. ამაში უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის მათ კლასის ხელმძღვანელს ლია ხატიაშვილს. მისმა აღსაზრდელებმა კომპოზიციით ჯერ კახეთის ყველა რაიონი შემოგვატარეს და ჩვენი საამაყო ადამიანები გაიხსენეს: მირზაანიდან – ნიკალა, გურჯაანიდან – ნატო ვაჩნაძე, საგარეჯოდან – გოგლა ლეონიძე, ყვარლიდან – ილია, თელავიდან – ერეკლე მეფე, ფშავიდან – ვაჟა, შემდეგ კი სცენიდან მთელი საქართველო გადაგვიშალეს თავისი კუთხეებით, ისტორიით და გამორჩეული მამულიშვილებით.

„აი, კახეთი, მუხლებმაგარი,
გომბორი მხრებით ცას რომ მისწვდება,
ივრის არხებზე ფრთხილი ვერხვები
და შეთოვლილი მთების შეხება“.

ამბობს **ნიკა დალიბალტიანი** და დასძენს: თვითონ თამარ დედოფალს მოუვლია სიყვარულით კახეთის ქალაქები და სოფლები. ამალა გაუყოლებია და ხორნაბუჯის აღმართს შესდგომია. ტყე რომ გაუვლიათ, ერთ მიჩქმალულ მაღლობზე მოხვედრილან, იქიდან ხელისგულივით მოჩანდა მთელი შიდა კახეთი. ზედ მთის წვერზე ქვესკნელიდან კამკამა წყარო ამოჩუხჩუხებდა. დედოფალს თასით შეუსვამს წყალი და უთქვამს – ვეჭვობ, ასეთი სასმელი წყალი სხვაგანაც იყოს. ცოდვაა, ამისთანა წყალი უსარგებლოდ იღვრებოდესო. იმავე წელს, ეს წყაროს წყალი თიხის მილებით მიუყვანიათ და თამარ მეფის პატივსაცემად „დედოფლისწყარო“ დაურქმევიათ.

IV-კლასელებმა ლექსებით მოიხსენიეს შოთა რუსთაველი, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, თითქმის ყველა კუთხეს მიაგეს პატივი და ბოლოს მათ გვირგვინს, დედაქალაქ თბილისს მიუძღვნეს სიმღერა. ბიჭუნებმა შეასრულეს ცეკვა „კინტაური“. დიდი ოვაციები გამოიწვია კვარტეტის მიერ ნამღერმა „მუხამბაზმა“. სიმღერებს ცეკვა ენაცვლებოდა, ლია მასწავლებელმა ქართული კინოფილმებიდან – „მანანა“ და „სხვისი შვილები“ – სცენარი შესთავაზა მაყურებელს, სადაც მსახიობური ნიჭით გაგვაოცეს პატარებმა.

ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის დასასრულს ყველა მოწაფემ თავისი წერილი და ყვავილების თაიგული გადასცა პირველ მასწავლებელს. ბავშვებს ოთხი სასწავლო წლის წარმატებით დამთავრება მიულოცა სკოლის დირექტორმა **ნელი აფციაურმა**. კომპოზიციას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **თამარ თამაზაშვილი** და მთავარი სპეციალისტი **ნანული ნატროშვილი**.

მარიკა პოპიაშვილი

ვკითხულობ აკაკის

საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში საზეიმო ვითარებაში ჩატარდა აკაკი წერეთლის დაბადების 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების „ვკითხულობ აკაკის“ (პროექტის ავტორი – **ნანული ენუქიძე**) გამარჯვებულ დეკლამატორთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. კონკურსი 3 ეტაპად მიმდინარეობდა (სასკოლო, ზონური და მუნიციპალური) და მასში ჩართული იყო საჩხერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 300-მდე მოსწავლე (საჩხერის №2, №3, არგვეთის, ჭალის, ჩიხის, სავანის, ორღულის, სხვიტორის, სარეკის, ჯალაურთის, კორბოულის №1, №2, შომახეთის, სისვაძეების, გორისის, გ/არგვეთის, მახათაურის, ცხამის, იტავაზის).

კონკურსის ჟიურიმ – **ნანული ენუქიძემ** (თავმჯდომარე), **ლია ალავიძემ**, **ციალა ცაბაძემ**, **რიმა კაპანაძემ**, **გოჩა ლურსმანაშვილმა**, **სოფიო კაჭკაჭიშვილმა**, **მზია დეკანოიძემ**, **მარიკა გოშაძემ** – გამოავლინა მუნიციპალურ კონკურსში გამარჯვებული 48 დეკლამატორი – I-II-III საფეხურის მოსწავლეები, 17 – I, II, III ადგილებზე გასული, 31 – სხვადასხვა ნომინიციაში.

გამარჯვებულ დეკლამატორ მოსწავლეთა დაჯილდოებისათვის კეთილი ნება გამოხატეს: საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, კულტურის სამსახურმა, მუნიციპალიტეტის საკრებულომ, სოფლის თემების წარმომადგენლებმა, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურომ, საკრებულოს დეპუტატებმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, აკაკი წერეთლის მუზეუმის დირექტორმა, სამუსიკო სკოლის დირექტორმა, „ლიბერთი ბანკის“ მმართველმა, სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულმა **მარიამ დეკანოიძემ**, აკადემიკოს კოტე წერეთლისა და მხატვარ სოსო წერეთლის მუზეუმის ხელმძღვანელობამ, საჩხერე გაზის სამსახურმა, წყალკანალის უფროსმა, საბავშვო სამოსის მაღაზიის – „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“ ინდმეწარმემ **ირინა არუსიამ**, გამგეობის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა **მაკა შუკაკიძემ**, მოსწავლეთა სახლის დირექტორმა **ბერიკა დეკანოიძემ**, სპეციალისტმა **ციალა ცაბაძემ**, წიგნების მაღაზია „ბიბლუსის“ წარმომადგენლებმა – **ლია** და **ნონა ენუქიძეებმა**, საცურაო აუზის ხელმძღვანელმა **თემურ კვესაძემ** – 1 თვის აბონემენტით, საერთაშორისო წითელი ჯვრის საჩხერის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ქეთევან ფალავანდიშვილმა**, ჩიხის საჯარო სკოლის დირექტორმა **ნინო გოშაძემ**. მათ გამარჯვებულები, პედაგოგებთან ერთად, დიპლომებით, სიგელებით, მადლობის ბარათებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვეს. დაჯილდოების ცერემონიალს თან ახლდა ხარისხიანად მომზადებული საკონცერტო ნომრები მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემოქმედებითი კოლექტივებისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტის **სოფიო ცარციძისა** და მისივე მოსწავლის **სალომე ნადირაძის** შესრულებით, აკაკის პოეზიაზე შექმნილი სიმღერები, ნაკვესები, ქართული და უცხოური ცეკვები, რომელთაც მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა წილად.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი კოლექტივი ყოველთვის ერთსულოვნად უჭერს მხარს და მონაწილეობს ყველა შემეცნებით, გასართობ, სასწავლო აქტივობებში, რაც სრულად ავსებს მოსწავლეთა არაფორმალური განათლების მოთხოვნებს.

ნათელა ხომასურიძე, ჩიხის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„ამ ღონისძიებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ აკაკის ხსოვნას ჟამთასვლა ვერაფერს დააკლებს.*

კიდევ ერთი აქტივობა მოსწავლეებისა და მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დასტურია მოსწავლეთა არაფორმალური სწავლებით დაინტერესებისა, რომელსაც ეს პედაგოგები ეწევიან, ათეული წლების განმავლობაში. ჩვენც ენთუზიაზმით ვართ ჩართულნი.“

სალომე აბრამიშვილი, არგვეთის საჯარო სკოლის დირექტორი: *„მივესალმებით არაფორმალურ სწავლებას, რომელიც სასკოლო საზოგადოებას მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენაში ეხმარება. დიდი მადლობა მოსწავლეთა სახლის მთელ კოლექტივს და იდეის ავტორს, ქალბატონ ნანი ენუქიძეს კონკურსის მსვლელობისას შემოთავაზებული სასიამოვნო სიურპრიზებისათვის, რამაც ხელი შეუწყო მათი მოტივაციის ამაღლებასა და საკუთარი თავისადმი რწმენის გამყარებას.“*

გელა მაჭარაშვილი, კორბოულის II საჯარო სკოლის დირექტორი: *„სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები და მათი მშობლები უდიდეს მადლიერებას გამოხატავენ და უღრმეს მადლობას უხდიან პროექტის ავტორს – ნანი ენუქიძეს და ორგანიზატორებს, ყველა მხარდამჭერ ორგანიზაციას ასეთი სიხარულის მონიჭებისათვის.“*

მაგული სისვაძე, ქორეთის საჯარო სკოლის დირექტორი: *„საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, ამ სულიერების წმინდა ტაძარში, ათეული წლებია, იღწვიან მუდამ სიახლის მაძიებელი პედაგოგები, სპეციალისტები. მაღალი დონის პროფესიონალი, აღმზრდელი, პროექტის ავტორი ნანი ენუქიძე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სანთელივით ინვის. ჩემი შვილებიც ამ ტაძარში აღიზარდნენ, ყველა პედაგოგს მადლობა.“*

ეს დღეები ტკბილ მოგონებად და დიდ მოტივაციად დარჩება.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის
მხატვრული კითხის დეკლამატორები,
კონკურსში გამარჯვებულები:
გიორგი ცუხიშვილი
ჩიხის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე,
ია ნოზაძე
ჯალაურთის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

სკოლამდელი აღზრდა

ბავშვები – ჩვენი მომავალი

იმ დღეს თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალში ზეიმი იყო. სკოლამდელი ასაკის, 83-ე ბაღის დამამთავრებელი ჯგუფის აღსაზრდელები თავიანთ ლამაზ სამყაროს ემშვიდობებოდნენ და კვარტლის ქუჩებს მათი წკრიალა ხმები ავსებდა – „ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“. კვარტლის მაცხოვრებლები გარეთ იყვნენ გამოსულნი და პატარებს მომავალი ცხოვრების გზას ულოცავდნენ.

ამ ფერადოვანმა დღემ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენზე და კიდევ ერთხელ გააღვიძა იმედის მიძინებული ნაპერწკალი: ჩვენი მომავალი – „ჩვენი ბავშვებია“. სწორედ ამ მოსაზრებით შეარჩიეს თემა გამოსაშვები ზეიმისთვის პედაგოგებმა. ჩანაფიქრმა მართლაც რომ გაამართლა. საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ლექსებითა და ხალხური სიმღერებით გადმოცემული, საოცარი სითბოთი იღვრებოდა გულში. პატარა გოგო-ბიჭები ქართულ სამოსში გამოწყობილნი, ანგელოზებს ჰგავდნენ, ანგელოზებს, რომლებსაც რთული გზა აქვთ გასავლელი იმისათვის, რომ, როგორც თვითონ ამბობდნენ, საქართველოს ღირსეული მომავალი უზრუნველყონ. ვუყურებდით ამ ბავშვებს და ეჭვიც არ შეგვპარვია, რომ ეს პაწაწინა ვარსკვლავები საქართველოს ღირსეული შვილები იქნებიან.

განსაკუთრებული აქცენტი გადატანილი იყო მთის ბუმბერაზ პოეტებზე. პატარა ბიჭუნები ფშავური კილოთი ქართველი ვაჟკაცების შესაფერის ლექსებს ჰყვებოდნენ და დასძენდნენ: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მტერსაც კი გაეცინება“. ამ სიტყვებს ქართული ცეკვები ერთვოდა, რომელშიც ყველაზე ნათლად ჩანს ქართველთა შემართება და მებრძოლი, ვაჟკაცური სული. პატარა გოგონები ციცინათელებს ჰგავდნენ, რომლებიც თავიანთი არსებობით გარემოს ალამაზებენ, ისინიც ხომ ღირსეული დედები უნდა გახდნენ, ამიტომაც ტოლს არ უდებდნენ ბიჭუნებს. ცეკვავდნენ, მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს და უზომოდ ბედნიერები იყვნენ.

ზეიმის თემა – „საქართველოს სიყვარული“ – აქტუალური, დროული და სწორად მიგნებულია, რადგანაც სწორედ სიყვარულია ის მთავარი, რაც ასე დეფიციტურია ჩვენს საზოგადოებაში. უღრმესი მადლობა გვსურს გადავუხადოთ გამოსაშვები ჯგუფის აღმზრდელს, ქალბატონ **ლილი ეპიტაშვილს** და მის თანაშემწეს **მანანა ტატანაშვილს**, რომლებმაც თავი არ დაზოგეს, რომ საღამო შთამბეჭდავი ყოფილიყო.

მოგეხსენებათ, გუნდური მუშაობის გარეშე ასეთი შედეგის მიღწევა შეუძლებელია. ამიტომაც უნდა აღინიშნოს მუსიკის მასწავლებლის, **მარინა პაიჭაძის** ღვაწლი და ძალისხმევა ზეიმის სრულყოფილად ჩატარებაში. ის არის უსაზღვროდ ნიჭიერი, დახვეწილი მუსიკალური გემოვნების პროფესიონალი და, რაც მთავარია, ბავშვების სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებული. ქალბატონი მარინა ზეიმის ნამდვილი დირიჟორი გახლდათ. მის ენერგეტიკას მთელი დარბაზი ემორჩილებოდა.

სწორედ მასწავლებელთა ასეთმა გუნდმა უნდა ასწავლოს ბავშვებს ერთგულება და სიყვარული, საზოგადოებრივი ქცევა და დახვეწილი მანერები. ისინი ხომ ევროპული სამყაროს ღირსეული მოქალაქეები უნდა გახდნენ.

ასევე, მადლობას ვუხდით 83-ე ბაღის დირექტორს, ქალბატონ **ეკა გვრიტიშვილს** და ბაღის მეთოდისტს **ნინო არეშიძეს**, რომლებმაც ყველა პირობა შეუქმნეს პედაგოგებს ნაყოფიერი და შედეგიანი შრომისათვის.

ეს დღე ნებისმიერი დიდი საკონცერტო დარბაზის სცენას დაამშვენებდა.

ბაღის აღსაზრდელებს კი ნათელ და წარმატებულ მომავალს ვუსურვებთ!

თამარ კვირკველია
83-ე ბაღის აღსაზრდელის დეა მახვილაძის მშობელი

იუბილე

ოტია იოსელიანის დაბადებიდან 85 წელი გავიდა

ოტია იოსელიანი... თითქმის სულ ახლახან ცხოვრობდა, შრომობდა, ფიქრობდა, საუბრობდა, ხატავდა, აკრიტიკებდა... მე ვიცნობდი ოტია იოსელიანს, ვმეგობრობდი მასთან, საერთო სატკივარზე ერთად ვმსჯელობდით, მის შენიშვნებს ვუსმენდი და ვიზიარებდი... მახსოვს, ერთ-ერთი საუბრის დროს მითხრა: „ჭეშმარიტი შემოქმედი ის არის, ვისი სახელის თქმაც საკმარისია საზოგადოებისთვის პიროვნებაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად“. დიახ, ბატონო ოტია, ახლა ნამდვილად თამამად შემიძლია მხოლოდ სახელით მოგიხსენიოთ, რადგან თქვენ იმ მარადისობის ბინადარი ბრძანდებით, რომლის მკვიდრობაც ჩვეულებრივ მოკვდავთ არ ძალუძთ.

დღეს თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ოტია იოსელიანი ქართული მწერლობის კლასიკოსი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედია, რომლის ნოველები, მოთხრობები, რომანები, ლექსები, იგავ-არაკები მკითხველი საზოგადოებისა და სალიტერატურო კრიტიკის დიდ ინტერესს იმსახურებს. საამაყოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ, სწორედ ოტია იოსელიანი შეეხო ღრმად და საფუძვლიანად იგავ-არაკულ ჟანრს და დაგვიტოვა შესანიშნავი კრებული „55 არაკი“, რომელშიც კარგად ჩანს მწერლის ზნეობრივი მრწამსი, განპირობებული, ერთი მხრივ, ეპოქის მოთხოვნებით, მეორე მხრივ კი – ზოგადადამიანური იდეალებით.

ამაგდარი მწერალი მუდამ ქართული ენის სიწმინდის სადარაჯოზე იდგა, ყოველ სიტყვას ჩხრეკდა, სინჯავდა, აქანდაკებდა, ქმნიდა სრულიად ახალ ბუნებრივ სიტყვათშენაერთებს და არავის პატიობდა ქართული ენის დამახინჯებას, დედაენის ხელყოფას.

ბატონმა ოტია იოსელიანმა წყალტუბოს პირველი სკოლა დაამთავრა, ამიტომაც განსაკუთრებით უყვარდა ის. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ დღეს ეს სკოლა დიდი მწერლის სახელს ატარებს. ურიგო არ იქნება, გავიხსენო, როგორ მოვედით ამ დღემდე...

ჯერ კიდევ 2005 წელს, პირველი სკოლის დირექციას (მაშინდელი დირექტორი – **ნათელა ბაზაძე**, მოადგილეები – **ლაურა ჯიმშელეიშვილი**, **ნინო წილოსანი**, **დალი სილაგაძე**) გაუჩნდა იდეა, სკოლაში გახსნილიყო ოტია იოსელიანის სახელობის კაბინეტი-მუზეუმი. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი შეთავაზებით აღფრთოვანდა, მაგრამ უარი არ უთქვამს და, რადგან 2005 წელი საიუბილეო იყო როგორც ბატონი ოტია იოსელიანისთვის (75 წლის გახდა), ასევე მისი საყვარელი მასწავლებლის, ქალბატონი **ქეთევან ბალანჩივაძისთვის** (85 წლის გახდა), გადავწყვიტეთ, ეს ორი დიდებული პიროვნება ერთად მოგვეწვია სკოლაში...

ლიტერატურული კომპოზიცია, რომელსაც „სახელოვანი მოძღვარი და ღირსეული შეგირდი“ ვუწოდეთ, იყო საინტერესო და შინაარსიანი მოგზაურობა ოტია იოსელიანის შემოქმედების ჯადოსნურ სამყაროში. მოსწავლეებმა წაიკითხეს დიდი მწერლის ლექსები, გაიინსცენირეს იგავ-არაკები.

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნათელამ, სამახსოვრო საჩუქრები გადასცა საპატიო სტუმრებს. მწერალმაც ჩვეულებრივად დამოძღვრა მოსწავლეები, წიგნის არსში წვდომისკენ მოუწოდა მათ. ასე გახდა ისტორიის კუთვნილება 2005 წლის დეკემბრის ერთი მშვენიერი დღე, თუმცა პირველი სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების ურთიერთობა ყველა დროის უდიდეს შემოქმედთან ამით არ დამთავრებულა... ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა ხშირად აწყობდა მწერალთან შეხვედრებს და ამ მხრივ მართლაც განებივრებულნი ვიყავით. საოცრად უყვარდა პირველ სკოლაში სტუმრობა, ყოველთვის გამოძებნიდა ხოლმე დროს ჩვენთან შესახვედრად, გვესაუბრებოდა შინაურულად, უბრალოდ, მიკიბულ-მოკიბულის გარეშე, ყოველთვის პირდაპირ გვეუბნებოდა სათქმელს.

არ შემიძლია, არ გავიხსენო დიდი მწერლის ცხოვრების ბოლო პერიოდი, როდესაც ავადმყოფობის გამო სტუმრებს აღარ იღებდა... მაშინ სასწავლო პროექტზე ვმუშაობდით – „ჩვენი ღირსეული თანაქალაქელები“, რომლის განხორციელებაც, დამეთანხმებით, შეუძლებელი იყო ბატონი ოტიას გარეშე. მოკრძალებულად ვთხოვეთ, რომ მიველეთ, ვიზიტზე უარი არ გვითხრა. მოსწავლეებთან შეხვედრამ გაახალისა, ბევრ საინტერესო თემაზე ესაუბრა მათ, არც ვიდეოსა და ფოტოების გადაღებაზე უთქვამს უარი (მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ დიდად არ სიამოვნებდა ეს პროცესი). სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი საქმიანი შეხვედრა და საუბარი იყო დიდ მწერალთან. პროექტის პრეზენტაციაზე ვეღარ მობრძანდა...

ოტია იოსელიანის გარდაცვალების შემდეგ სკოლაში დაარსდა ლიტერატურული სალონი – „ოტიაური“ (ხელმძღვანელი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ოქროპირ სვანაძე**). სახელის იდეა ქალბატონ ლაურა ჯიმშელეიშვილს ეკუთვნის (სკოლის მაშინდელი დირექტორი). მისივე ინიციატივითა და მთელი კოლექტივის საერთო ძალისხმევით (არ შემიძლია დავივიწყო, როგორ დაგვეხმარა ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელობა) მივაღწიეთ, რომ წყალტუბოს პირველი საჯარო სკოლა დღეს დიდი მწერლის სახელს ატარებს. ეს, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაა, ამიტომ სკოლის ახალი დირექტორი **ფაქიზო ფანჩულიძე**, მოადგილე **დალი სილაგაძე**, მთელი პედაგოგიური კოლექტივი ვცდილობთ, ღირსეულად ვატაროთ ეს საპატიო სახელი.

დოდო ხაჩიძე
ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

თვალსაზრისი

ზნე-ხასიათის წრთვნა – სკოლის „უაღრესი საგანი“

„ზნე-ხასიათის წრთვნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა. გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარი წრთვნისა, ზრდისა და განათლებისა. ამიტომაც, თვითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წრთვნას, ამ ერთადერთ საგანს თავისას გაუძღვეს და მსახურებდეს.“

ილია ჭავჭავაძე

სწავლა-აღზრდის საკითხი ისეთივე უძველესია, როგორც კაცობრიობა. იცვლება ცხოვრება, იცვლება ღირებულებები, იცვლება განათლების სისტემა, მაგრამ უცვლელ ღირებულებად ისევ სულიერება და ზნეობა რჩება. ამ მხრივ, შეიძლება თვალ-ყური ვადევნოთ სხვადასხვა ცივილიზაციებს, სოციალურ სამყაროს, განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებას, დაწყებულს შუმერებიდან თუ ბიბლიური წიგნებიდან.

არაფრის მომცემი იქნება მრავალფეროვანი ცოდნა, თუ მას თან მაღალი ქრისტიანული ზნეობა არ ახლავს, თუ მოსწავლეს ვერ ვასწავლით, სად, როდის, როგორ და რისთვის გამოიყენოს თავისი ცოდნა. *„მთავარი ის კი არ არის, თუ რა რაოდენობის საგანს ვასწავლით ახალგაზრდას, არამედ ის, თუ რა შედეგს მოგვცემს ჩვენ მიერ მიცემული ცოდნა, როგორ წაადგება ის ყმაწვილს სულიერ თუ პრაქტიკულ ცხოვრებაში“* (ილია II). საერთოდ კი, ყველაფერი ფუჭი იქნება, თუ არ ვასწავლით სიყვარულს, ქრისტიანულ სიყვარულს, რომელიც პავლე მოციქულის სიტყვებით: *„სულგრძელია, ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, თავისას არ ეძიებს, არ მრისხანებს და არ განიძრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს, ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს“.*

ყველა დროში ადამიანს აინტერესებდა, თუ საიდან მოვიდა, რისთვის ცხოვრობს და სად მიდის. საკუთარი თავის შეცნობა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა ამქვეყნად, რადგან საკუთარი თავის შეცნობით იგი სამყაროსაც შეიცნობს.

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო,
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო.“

დავით გურამიშვილი

აღზრდის მიზანიც თავისუფალი, ზნესრული ადამიანის აღზრდა უნდა იყოს. მსოფლიოს ცნობილი პედაგოგიკის კლასიკოსების უამრავი მოსაზრება არსებობს განათლებისა და აღზრდის შესახებ. არ შეიძლება, უგულებელვყოთ ჩვენი, ქართული ოჯახური ტრადიციებიც. *„არაფერი ახალი მზის ქვეშ არ არის“*, ყველაფერი იყო, არის და იქნება. ახალი მხოლოდ ის არის, თუ როგორ გამოვიყენებთ მას ჩვენს დროში, ჩვენს ადგილას და ჩვენი მიზნებისათვის. მიზანი ერთია, მისი შესრულება – მეორე. მთავარია ვინ, რას, როგორ და რისთვის ასწავლის.

ყველა დიდი მოაზროვნე სულიერი აღზრდის მთავარ საკითხად რელიგიურ აღზრდას მიიჩნევდა. *„მეცნიერებას, ენებს, ხელოვნებას ვასწავლით, მაგრამ მთავარია ნამდვილი საქმე. ამ საქმეს წარმოადგენს სიბრძნის შესწავლა, რომელიც ამაღლებულს, მამაცს და სულგრძელს ქმნის პიროვნებას.“* – წერდა იან-ამოს კომენსკი და ამ მთავარ, ნამდვილ საქმეს ზნეობას და ღვთისმოსაობას უწოდებდა.

უფლის ათი მცნება ქართველებისთვის რელიგიურ-ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენდა და აღზრდის საფუძვლადაც იყო მიჩნეული.

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“.

ილია ჭავჭავაძე

სულხან-საბა ორბელიანის აზრით, ისე უნდა აღვზარდოთ ყმაწვილი, რომ მისმა სულიერმა სიძლიერემ დათრგუნოს მოკვდავი ხორცი. საბას „სწავლებანი“ სამაგიდო წიგნი უნდა იყოს ყველა ოჯახისა და პედაგოგისთვის და არა მარტო ეს წიგნი. ქრისტიანული აღზრდის საფუძვლებია ჩვენი კლასიკოსების შედევრები და ჩვენი ისტორია, რომელთა იდეებზეც აღიზარდნენ ჩვენი დიდი წინაპრები. უნდა ვეცადოთ, შეინარჩუნოთ ჩვენი, ქართული აღზრდის პრინციპები, რათა ამ დიდი გლობალიზაციის პირობებში არ მოვყვეთ გაერთგვაროვნების წამლეკავ პროცესში.

საკმარისი არ არის ბავშვი მარტო სულიერად განვითარდეს, რითაც ვზრდით არა მარტო სხეულს და არა მარტო სულს, არამედ მთლიანად პიროვნებას. ლეონი, უფლისწულის აღმზრდელი საბას „სიბრძნე სიცრუიდან“, ეუბნება მეფეს, აღმზრდელი – მამას: *„აწ გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავლებია და ამის შემდგომაც ნახეთ თქვენდაცა რა არის სასწავლად მისსა?“*. მარტო უფლისწულს კი არა, ყველა ადამიანს სჭირდება სულიერი და ფიზიკური სიძლიერე, ტკივილის ამტანობის გამომუშავება, მამაცობა, წესრიგის სიყვარული, მორჩილება და ნდობა აღმზრდელისა. ეს ყველაფერი კი ქრისტიანულ რწმენას და ქრისტიანულ აღზრდას ემყარება.

ბავშვი უნდა მოვამზადოთ ცხოვრებისათვის, ბედნიერი ცხოვრებისთვის, რისთვისაც შექმნა უფალმა ადამიანი, მაგრამ ისე, რომ უფლისთვის მოსაწონი იყოს მისი ცხოვრება. იცოდეს, რომ უფლის ყოვლისმხედველი თვალი აკონტროლებს მას და მისგან მხოლოდ სიკეთის ქმნას ელოდება. არც ის უნდა დავუმალოთ, რომ ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არ არის და ცხოვრებაში ბევრი წინააღმდეგობა შეხვდება, რომ ცხოვრება ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას შორის და თავისუფლებაც, უფლისგან ბოძებული, საშუალებას აძლევს, გააკეთოს არჩევანი ბოროტებასა და სიკეთეს შორის. უნდა ვასწავლოთ თვითკრიტიკაც. ამისთვის კი, უნდა დავუმკვიდროთ მაღალი ზნეობრივი იდეალები. შინაგან მოთხოვნილებად ვუქციოთ დიდი ილიას შეგონება:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე,
ყოველ დღესა შენს თავს კითხე :
აბა დღეს მე ვის რა ვარგე?!“

ყოველდღიურად ვაკონტროლოთ, შევაგონოთ, გავუთავისოთ, გავაგებინოთ ჩვენს აღსაზრდელებს, რომ ღვთის გარეშე ადამიანი ამქვეყნად ვერ მოიპოვებს ვერც სიმშვიდეს და ვერც ბედნიერებას. ჭეშმარიტების ძიება რთული პროცესია, მაგრამ სიტყვას დიდი ძალა აქვს. *„საერთოდ სიტყვა მაგიური გასაღებია. სიტყვა არის ხმალზე მჭრელი, ისარზე ზუსტი... ვინც დაეუფლება სიტყვას, დაიმორჩილებს სიტყვებს, ის უძლეველია. ის უფრო ძლევამოსილია, ვიდრე ყველაზე ძლიერი სპასალარი“* (ლ. ბახტრიონელი).

შეგონებები გავუმეოროთ ყოველდღე, საჭირო დროს და საჭირო ადგილას. შინაგან მოთხოვნილებად ვუქციოთ ქრისტიანობის ოქროს წესი: *„მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ“* და დიდი შოთას სიტყვები: *„რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“.*

„ბავშვები კეთილი საქმის მაგალითებს საჭიროებენ, – წერს მონაზონი ვერონიკა, – *ერთი ქრისტიანული მაგალითი ათას დარიგებას ჯობია“.* ვიქცეთ მაგალითად ბავშვებისთვის და სხვა ღირსეული ადამიანებიც ვუქციოთ. თითოეულ ბავშვში გავაღვიძოთ ის პატარა ღმერთი, რომელსაც დიდი ილია სინდისს ეძახის: *„ჩემი მსაჯული ჩემი ჭკუაა და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“.*

ასე რომ, ადამიანის სულის გამომსახველი სიყვარული, გონება, ნებისყოფა, სინდისი, მიმტევებლობა, ინტუიცია, წარმოსახვა, ალბათ, ერთ სიტყვაში შეგვიძლია გავაერთიანოთ – ზნე-ხასიათი.

„ახლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის. ამიტომაც, არც კაცად ვარგობენ ახლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნით გამოდის რამ“ (ილია ჭავჭავაძე).

როგორ თანადროულად ჟღერს ერთი საუკუნის წინათ ნათქვამი. დიდ ადამიანთა აზრები არასოდეს კარგავს აქტუალობას. ალბათ, ამაშია მათი უკვდავებაც.

ჩვენ კი, მართლა, მხოლოდ „მასწავლებლებად“ ვიქეცით – ვასწავლით, ვასწავლით და ვასწავლით... რისთვის? იქნებ სჯობდეს, ყური დავუგდოთ ჩვენს დიდ წინაპრებს და უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

ნანა ბარჯაძე-მიხანაშვილი
ნინოწმინდის რაიონის განძის
შოთა რუსთაველის სახელობის №2
საჯარო სკოლის
ქართულის, როგორც მეორე ენა, პედაგოგი

ინფორმაცია

ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა – 200-ზე მეტი დაფინანსებული დოქტორანტი

222 დაფინანსებული დოქტორანტი და 4 496736-ლარიანი საგრანტო ბიუჯეტი – ეს მონაცემი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის შედეგებია, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2013 წლიდან ატარებს. კონკურსში გამარჯვებული დოქტორანტი სტუდენტები, პირველად საქართველოში, სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ. პროგრამის მიზანი სახელმწიფოში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადება, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირება და სათანადო პირობების შექმნაა.

ერთ დოქტორანტზე გამოყოფილი მთლიანი ბიუჯეტი, სემესტრების მიხედვით, სხვადასხვაგვარად ფინანსდება: ექვსსემესტრიანი პროექტისთვის სასწავლო-კვლევითი გრანტის მაქსიმალური ოდენობა 63000 ლარით განისაზღვრება, ხუთსემესტრიანი პროექტისთვის – 52500 ლარით, ოთხსემესტრიანი პროექტისთვის – 42000 ლარით, სამსემესტრიანი პროექტისთვის – 31500 ლარით, ხოლო ორსემესტრიანი პროექტისათვის – 21000 ლარით. 2013-2014 წლებში 230-მდე დოქტორანტი დაფინანსდა. 2013 წლის საგრანტო კონკურსის მთლიანი ბიუჯეტი – 1 935 850 ლარი იყო, ხოლო 2014 წლის – 2 560 886 ლარი.

დოქტორანტებისთვის მსგავსი კონკურსი საქართველოში არ არსებობდა. საკონკურსო ნამუშევრებს დამოუკიდებელი მეცნიერებისაგან შემდგარი ანონიმური კომისია აფასებს. გამარჯვებულებს სახელმწიფო უფინანსებს: სწავლის გადასახადს, სადოქტორო კვლევებისათვის საჭირო თანხებს, საზღვარგარეთ სტაჟირებას, კონფერენციებზე გამგზავრებას და მონაწილეობას.

კონკურსში გამარჯვებულ დოქტორანტებს, 10 მაისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** შეხვდა, კონკურსში გამარჯვება მიულოცა, მათი შეფასებები და მოსაზრებები მოისმინა. **თამარ სანიკიძესთან** ერთად დოქტორანტების შეკითხვებსაც უპასუხა. *„უკვე მეორე წელია, დოქტორანტების პროგრამას ვაფინანსებთ, რაც სასიხარულოა. თუმცა, უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, 2007 წლიდან იგეგმებოდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჩვენი ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი. ამაში განსაკუთრებული არაფერია – ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა.* – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა შეხვედრაზე, – *დარწმუნებული ვარ, კარგად გაქვთ გააზრებული ის გამოწვევები, რაზეც ვსაუბრობთ. თქვენ ყველაზე უკეთ იცით, როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა ამ მიმართულებით, ამიტომაც ძალიან საინტერესოა თქვენგან მოვისმინო შეფასებები, შენიშვნები, მოსაზრებები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი სახელმწიფო – რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით, რას ვერ ვაკეთებთ, რისი გაკეთება შეიძლება. მზად ვარ გულწრფელი დიალოგისთვის“.*

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის, **მარინე ჩიტაშვილის** შეფასებით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ფინანსირება ერთმნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადამიანური კაპიტალის განვითარებას ქვეყანაში: *„სამეცნიერო საქმიანობა და დოქტორანტურა რეალურად საქმის კეთებას გულისხმობს და მისი კეთება სხვა რამესთან ერთად პრინციპულად შეუძლებელია. შესაბამისად, თუ ჩვენ არ დავაფინანსებთ დოქტორანტურას, არ გვექნება ახალგაზრდა კადრების შემოდინება აკადემიურ გარემოში, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების სფეროში და არ გვექნება ინჟინერიის, ფიზიკის და სხვა მეცნიერებების მიმართულებები“.*

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი სწორედ იმის საშუალებას აძლევს დოქტორანტს, რომ დაკავდეს მხოლოდ საკუთარი სამეცნიერო საქმიანობით და არ ჰქონდეს აუცილებლობა, სწავლის საფასურის გადასახდელად დამატებით ეძებოს სამსახური.

დოქტორანტების აზრით, რუსთაველის ეროვნული სამენციერო ფონდის დაფინანსების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ კვლევების ჩატარება, რომლებსაც ისინი ახორციელებენ.

ნინო ჯორჯაძე, დოქტორანტი: *„დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ დაფინანსების გარეშე, კვლევის ამ დონეზე შესრულება მეთოდოლოგიით, რომლითაც ვაკეთებთ, შეუძლებელი იქნებოდა. კონკრეტულად, ვსწავლობთ ბავშვის განვითარებას და მის ადაპტაციას გარემოსთან სხვადასხვა ჭრილში – ქცევითი, ემოციური თუ ფიზიოლოგიური. ამიტომ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რუსთაველის ფონდს ასეთი შესაძლებლობის მოცემისთვის. ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ გვაქვს იმის შესაძლებლობა, დაფინანსება ქართული წყაროებიდან მივიღოთ“.*

ალექსანდრე სბორშიკოვი, დოქტორანტი: *„მე ორსემესტრიანი დაფინანსება მივიღე, რომელიც 2016 წლის მარტში დასრულდება. კვლევის თემა მიწისძვრების დროში განაწილებას ეხება. რადგან საქართველო სეისმურად აქტიური ქვეყანაა, ამ საკითხის განხილვა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო რუსთაველის ფონდს, კვლევის საშუალება რომ მომცა. იმედი მაქვს, ჩემი პროექტი და დისერტაცია მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო ჩემთვის და უნივერსიტეტისთვის, არამედ სახელმწიფოსთვის“.*

ევროპასთან ინტეგრირების გზაზე, ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კვალიფიციური სამუშაო კადრები, ვინც კვლევაზე დაფუძნებული და დასაბუთებული განვითარების სამომავალო პერსპექტივების დასახვასა და შემდგომ განხორციელებას შეძლებს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება დამწყები მეცნიერების დაფინანსების პროგრამა – აცხადებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

ასევე მეორე წელია, ფუნქციონირებს პრემიერ-მინისტრთან არსებული განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც კონკურსის გზით აფინანსებს ახალგაზრდა კადრებს და საშუალებას აძლევს, განათლება სრულყონ საზღვარგარეთ, სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების საფეხურზე. ცენტრი ხელს უწყობს საქართველოს ინტეგრირებას საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში და მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის რეალიზებას, უკან დაბრუნების შემდეგ.

შეხვედრას საინტერესოდ მიიჩნევს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, რადგან დოქტორანტებმა უშუალოდ პრემიერისგან მოისმინეს პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე. **თამარ სანიკიძე** აღნიშნავს, რომ დოქტორანტების დაფინანსება საკმაოდ სოლიდურია, რომ საფუძვლიანად და წარმატებულად განახორციელონ ის კვლევითი პროგრამები, რომლებიც აირჩიეს. *„დღეისათვის ქვეყანაში 200-ზე მეტი დოქტორანტი გვყავს დაფინანსებული. გარდა ამისა, პრემიერის აპარატთან არსებული განათლების საერთაშორისო ცენტრი აფინანსებს და ხელს უწყობს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს საზღვარგარეთ სწავლაში. ვფიქრობ, ეს რაოდენობა – უცხოეთში და საქართველოში დაფინანსებული დოქტორანტების– არ არის ცოტა ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის. მათი პოტენციალი, მას შემდეგ, რაც კვლევებსა და განათლებას დაასრულებენ, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ქვეყანაში“.*

მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**

ისტორიის მიღმა

ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

კრებულის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

9 ლარი

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური კლასტერები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ძვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით აღმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბაღი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძანელა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

დაიმახსოვრეთ ეს სახელები

უკვე მეხუთე წელია, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, წარმატებით ხორციელდება პროექტი – „დაიმახსოვრეთ ეს სახელები“. სასახლის ლიტერატურულ სტუდიაში შექმნილია „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბური გაერთიანება, რომელსაც ხელმძღვანელობს პოეტი **გული სალუქვაძე**. პატარები დიდი ინტერესით ერთიანდებიან შემოქმედ ბავშვთა სექციაში (მიღება ხდება გასაუბრების წესით). „ცეროდენა კალმოსანთა“ ასაკი 7-დან 12 წლამდეა. ეს ის დროა, როცა პატარებმა უკვე გაიარეს სასკოლო ცხოვრებასთან შეგუების პერიოდი და ახლა „დიდ საქმეებს“ ეჭიდებიან, უსაზღვროა მათი ფანტაზია, მრავალმხრივია ინტერესი. შემოქმედებითი მონაცემების მოზარდებს უჩნდებათ სურვილი, შექმნან ნაწარმოებები და რა დიდია სიხარული, როცა ეს მათ კარგად გამოსდით.

„ცეროდენა კალმოსნები“ კვირაში ორჯერ იკრიბებიან სასახლეში. აქ ისინი, იძენენ ცოდნას, ეჩვევიან მხატვრულ აზროვნებას, ეცნობიან ბუნების საიდუმლობებს, იმდიდრებენ ლექსიკის სალაროს. სასწავლო წლის განმავლობაში შექმნილი ნაწარმოებებით პატარები დამოუკიდებლად ადგენენ ხელნაწერ კრებულს „ჩემი პირველი წიგნი“. „ცეროდენათა“ კრებულების პრეზენტაცია, ტრადიციულად, ყოველი წლის ივნისში – ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ეწყობა. წელს იგი 7 ივნისს გაიმართა. პატარებმა ხელნაწერ კრებულებთან ერთად სხვა ნამუშევრებიც წარმოადგინეს: გობელენები, ნახატები, ნაძერწი, დაუკრეს მუსიკალური ნაწარმოებები, შეასრულეს სიმღერები.

„ცეროდენა კალმოსანთა“ შემფასებლად მოწვეულები – სტუდიის აღზრდილი ხელოვნებათმცოდნე, რეჟისორი **ნინო მაჭარაშვილი** და შემოქმედებითი კონკურსების მრავალგზის გამარჯვებული **სოფიკო დაუშვილი** სცენაზე ისხდნენ და პატარებს საკუთარი ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ იწვევდნენ მათ გვერდით, სადაც 25 თავისუფალი სკამი იდგა. „ცეროდენა კალმოსნებმა“ დამსახურებულად დაიკავეს თავისუფალი სკამები ღირსეულ სტუმართა გვერდით.

წარმოგიდგენთ რამდენიმე ცეროდენა კალმოსანს

ლიზი კოგალავა
III კლასის მოსწავლე

ჭიამაიას გასეირნება

შემოდგომის თბილი დღე იყო.

კარგი დარი იდგა. ჭიამაიამ ფრთები გაშალა და გაფრინდა. მას მდინარის პირას სურდა გასეირნება. ჭიამაია უცებ წყალში ჩავარდა. ეს რომ ქარმა გაიგო, დაუბერა და ჭადრის ფოთლები მდინარეში ჩაყარა. ჭიამაია ერთ ოქროსფერ ფოთოლზე აძვრა და მდინარე მშვიდობიანად გადაცურა.

თეკლა ჯარიაშვილი
II კლასის მოსწავლე

ტყეში პატარა ნაძვი ტირის

ახალი წელი მოვიდა და პატარა ნაძვმა ტირილი დაიწყო. მეტყეველმ გამოიარა, მტირალა ნაძვი შენიშნა და ჰკითხა: რა გატირებს? ნაძვმა უპასუხა: ის მატირებს, რომ მომჭრიან და ნაძვის ხედ დამაყენებენ. მე დაგიცავ – უთხრა მეტყეველმ ნაძვს, თავზე ხელი გადაუსვა და დაამშვიდა.

უტა გვასალია, IV კლასის მოსწავლე

მონატრება

მენატრება ჩემი სოფელი, მწვანე, ხასხასა ბალახზე გორაობა, სირბილი ეზოში, მდინარის ხმა, ბანაობა, წითელი დაბრაწული ვაშლის ჭამა, ბალახებში ამოსული ყვავილების კრეფა, მენატრება ბაბუა და ბებია. ერთი სული მაქვს, როდის ჩავალ სოფელში. ფეხს შევდგამ თუ არა ეზოში, მაშინვე ჩემი ბათურა შემომახტება, თვალებით მეტყვის გამარჯობას. ვითამაშებთ, გავერთობით. ძალიან მენატრება ბათურა.

ანასტასია გოგია
II კლასის მოსწავლე

მერცხლების დაბრუნება

მერცხლები საქართველოში რომ ჩამოფრინდნენ, იმ წამსვე ჭიკჭიკი და ბარტყების დაჩეკვა დაიწყეს. ერთმა მერცხალმა თქვა: როგორ მიხარია სამშობლოში დაბრუნება, გზაში ძალიან ვნერვიულობდი – ვინმემ ბუდე ხომ არ დამინგრია-თქო. პატარა გოგონამ მერცხლებს ამოსძახა: – ნუ გეშინიათ, მერცხლებო, თქვენს ბუდეს არავინ ესვრის ქვას!

გუგა ფირცხალავა
V კლასის მოსწავლე

როცა დედამიწიდან გაქცევა გინდა

დილით კარგ ხასიათზე გავიღვიძე. აივანზე გავედი და ქუჩას გავხედე. ყველა სადღაც მიიჩქაროდა. მეც მოვემზადე და სკოლისკენ გავეშურე.

სკოლაში მისვლისთანავე ჩემმა კლასელმა უმიზეზოდ თავში წამომარტყა. მე დავუყვირე და ცემა დავუწყე. გაჩაღდა ჩხუბი. მასწავლებელმა ხმაურისთვის დღიურში ორიანი ჩამიწერა. მე გავბრაზდი. გაკვეთილების შემდეგ დედაჩემმა მომაკითხა, დღიურს ჩახედა და ჩხუბი დამიწყო. მინდოდა ყველაფერი ამეხსნა, მაგრამ არ მომისმინა, არ ვიცი რატომ. ნამდვილად ვიცოდი, რომ მე მართალი ვიყავი, ჩემი არავის სჯეროდა. იმ წუთას სიბრაზისაგან სურვილი გამიჩნდა დედამიწიდან გავქცეულიყავი, ამ ყველაფერს მოვშორებოდი.

სახლში რომ მივედი, დივანზე წამოვწექი და დავიწყე კოსმოსზე ფიქრი. ჩამეძინა. ჩემ წინ გადაიშალა თვალუწვდენელი სივრცე. მე სკაფანდრი მეცვა, წინ რაკეტა იდგა. ის იყო რაკეტაში უნდა შევსულიყავი, რომ დედაჩემის ხმა მომესმა: გაიღვიძე, გაკვეთილები უნდა მოამზადო!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >